სამა

№6(198)
ივნისი
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

3 ივნისი

ყოვლადწმიდა სამება

„ხედავთ, როგორ უყვართ ერთმანეთი?!“

კომუნიკაციების ისეთ ეპოქაში, როგორიც ჩვენია, – სადაც (მრავალთა აზრით) ელექტრონული საშუალებებით სხვებთან ურთიერთობის სურვილი უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, – იქმნება საშიშროება იმისა, რომ უფრო მეტად გაღრმავდეს ვირტუალური, ზედაპირული, ფრაგმენტული ურთიერთობა პიროვნებათა შორის, რაც გამოიწვევს ადამიანთა შორის გაუცხოვებას და ისინი უფრო მეტად მოუმზადებლები აღმოჩნდებიან ნამდვილი ურთიერთობების დასაწყებად. ამის შესანიშნავი მაგალითია ერთ-ერთი იუმორისტული სურათი: კუბოში ჩასვენებული კაცი, რომლის გვერდით, ცარიელი სკამების გარემოცვაში, ზის მგლოვიარე ცოლი; კომენტარი ასეთია: *„მას კი ორი ათასი მეგობარი ჰყავდა ფეისბუკში“.*

თუკი რომაელთა მიმართ წერილის ბოლო თავს (საკამათოდ ქცეულ მე-16 თავს) გადავიკითხავთ, ჩვენდა გასაოცრად, დავინახავთ, რომ მოციქული პავლე, 2000 წლის წინათ, რეალურად იცნობდა ამ ქალაქის მკვიდრ ას თუ ასორმოცდაათ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ არ ჰყავდა ნანახი. აქ ჩამოთვლილია ჩვიდმეტი ადამიანის სახელი, მათ შორის შვიდი დედაკაცის, პიროვნებათა ხუთი ჯგუფი, რომლებიც ზოგი მათგანის სახლში იკრიბებიან. ამ წერილის განხილვისას, ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ანტიკური ხანის წერილებში ხშირად ვხვდებით მესამე პირთა მიმართ მოკითხვას, მაგრამ ამგვარ მოკითხვათა მაქსიმალური რიცხვი მოცემულია ვინმე დიოდორას პაპირუსის გზავნილში, რომელიც ვინმე ვალერიუს მასიმოს სთხოვს, რომ ექვს ადამიანს გადასცეს მოკითხვა. რომაელთა მიმართ წერილში კი მოსაკითხ ადამიანთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია. პავლე განსაკუთრებულად აღნიშნავს მათ ევანგელისტურ საქმიანობას. *ფებე* პირველია ჩამოთვლილთა შორის, წმ. პავლე მას „კენქრეელთა ეკლესიის მსახურად“ მოიხსენიებს (რომ. 16,1), იგი სთხოვს რომაელებს, რომ დაეხმარონ ფებეს ყველაფერში, რადგანაც *„ისიც ბევრის შემწე იყო და პირადად ჩემიც“* (რომ. 16,2). შემდეგ საუბრობს მარიამზე *„რომელმაც ბევრი იშრომა თქვენთვის“* (რომ. 16,6). მერე ანდრონიკეზე და იუნიაზე, რომლებმაც *„ჩემზე უწინაც ირწმუნეს ქრისტე“* (რომ. 16,7). აქ პავლე მიგვანიშნებს, რომ იცის სიტყვა „მოციქულის“ არსი: მართალია, მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თორმეტის როლი უნიკალურია (შდრ. მაგ.: 1კორ. 15,5), მაგრამ იგი მაინც იყენებს ამ ტერმინს პირველი თაობის მისიონერთა მიმართ, რომლებიც, სავარაუდოდ, ეკუთვნოდნენ იმ სამოცდაათს, რომელზედაც საუბრობს მახარებელი ლუკა. *ანდრონიკე* და *იუნია*, შესაძლებელია, რომაული საკრებულოს პირველი ევანგელისტები იყვნენ. შემდეგ საუბრობს *ურბანოსზე*, რომელიც არის *„ჩვენი თანამშრომელი ქრისტეში“* (რომ. 16,9), მერე *ტრიფენასა* და *ტრიფოსასზე, „უფალში მშრომელებზე“* (რომ. 16,12), შემდეგ პერსისზე, რომელმაც *„ბევრი იშრომა უფალში“* (რომ. 16,12). პავლე თანაბარი მნიშვნელობის სიტყვებით ახასიათებს მათ: თანამშრომელი, მშრომელი, სახარების გავრცელების გამო ტანჯული, მოყვასთა მსახური. ამ მრავალ მამაკაცთა შორის, რომელთა სახელებიც ჩამოთვლილია მე-16 თავში, არიან ქალებიც; მათი როლი ევანგელისტურ საქმიანობაში განსაკუთრებულით ხაზგასმულია: შვიდი დედაკაცი და ხუთი მამაკაცი, რომლებმაც იგემეს დევნა და წვალება, რომელთაც ბევრი „იშრომეს უფალში“*: აკვილა* და *პრისკა*: *„რომელნიც თავს სწირავდნენ ჩემი სიცოცხლისათვის“* (რომ. 16,4), მათ თავის მოკვეთის დიდი საშიშროება ელოდათ, როგორც სჯიდნენ ხოლმე რომის მკვიდრებს, ხოლო *აპელესი* იყო *„ქრისტეში გამოცდილი“* (რომ. 16,10). ხაზგასმით არის გამოყოფილი რამდენიმე სახელი, რადგანაც მათ საკუთარი საცხოვრებელი სახლი ლიტურგიული და კატეხისტური შეხვედრების ადგილად აქციეს. *ფებეს, აკვილასა* და *პრისკას* სახელებს მაშინვე მოსდევს მათი სახელები, რომლებიც იყვნენ *„ჩემი თანამშრომელნი ქრისტე იესოში“* (რომ. 16,3) და *„მათი საშინაო ეკლესიაც“* (რომ. 16,5), ასევე *ნარკისუსის* „შინაურები, *უფალში მყოფნი*“ (რომ. 16,11), *„ასვინკრიტოსი, ფლეგონი, ჰერმესი, პატრობასი, ჰერმასი* და *მათთან მყოფი ძმები“* (რომ. 16,14), *„ფილოლოგოსი* და *იულია, ნირეასი* და მისი და, *ოლიმპასი და მათთან მყოფი ყველა წმიდა“ (რომ. 16, 15).*

ის რეალობა, რაც წერილის დასაწყისშია აღწერილი, გარკვეულწილად, გვახსენებს იმას, რაც *მოციქულთა საქმეებში* ითქვა იერუსალიმის პირველ საკრებულოზე და რაც უკვე რომის საკრებულოში აგრძელებს სიცოცხლეს. თითქოს რომის ურბანისტული ქალაქი მთლიანად ამ კავშირ-ურთიერთობებში ჩაიძირა, ქრისტიანთა სახლები სულ მალე იმ ადგილებად იქცნენ, სადაც მარადიული ქალაქის დიდი თუ პატარა ბაზილიკები წამოიმართა. ძმური კავშირები იბმება განსაკუთრებით რომის ქრისტიანებსა და პავლეს შორის. ქრისტიანული რწმენა ურთიერთობათა ახალ ტიპს წარმოშობს. არ არსებობს მხოლოდ ცოლქმრული, მხოლოდ მშობლიური, მეგობრული სიყვარული (მაგ.: აკვილა და პრისკა, ან კიდევ „საყვარელი უფალში“ ამპლიასი და პერსისი), აქ უკვე იკვეთება ის კავშირი, რომელიც ადამიანებს ამყოფებს ქრისტეში. *ფებე* მოხსენებულია, როგორც *„ჩვენი და“* (რომ. 16,1), „ძმებად“ წოდებულნი არიან *ასვინკრიტოსი* და მასთან ერთად „მყოფი ძმები“ (რომ. 16.14), *მორწმუნეები, ვინც ფილოლოგოსთან არიან* (რომ. 16,15). ყველანი ესენი არიან *„წმიდები“* (რომ. 16,7) და „მოწოდებულნი“ იესო ქრისტეს მიერ (რომ. 1,6). ეს ძმობა გამოიხატება იმ ტიპურ ქმედებაში, რომელიც მაშინ ახასიათებდა ქრისტიანულ საკრებულოთა წევრებს: *„მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით“* (რომ. 16,16). მშვიდობის გაცვლა წმიდა ამბორის გზით, – ეს იქნება მათ ურთიერთობაში ქრისტეს სიყვარულის ნიშანი. მოციქულ პავლეს ამგვარი კავშირები *„ყველა მათგანთან…“* (რომ. 1,8) წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს დიდდღესასწაულის აღნიშვნის (29 ივნისი) სამზადისში, უნებურად ბადებს ამ კითხვას: დღეს, კომუნიკაციის ბუმის ეპოქაში, როგორი სიყვარულით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან დღევანდელი ქრისტიანები? ან რომის იმ საკრებულოსთან, რომელსაც მოციქულ პეტრეს მემკვიდრე, რომის ეპისკოპოსი მიუძღვის და იმ ქრისტიანებთან, რომლებიც რომის ეპისკოპოსთან ზიარებაში იმყოფებიან, ან აღარ იმყოფებიან, ან სულაც არასოდეს ყოფილან მასთან ზიარებაში? სწორედ ჩვენ უნდა დავამოწმოთ პირველებმა, რას ნიშნავს „ურთიერთობა“! როგორც ტერტულიანე (155-230) შეგვაგონებს, სწორედ ამგვარი ურთიერთობა აოცებდა წარმართებს, როდესაც ისინი პირველად ეცნობოდნენ ქრისტიანებს: „ხედავთ, როგორ უყვართ ერთმანეთი!?“

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ერაყელი მოწამე

5 მაისს კირკუკში ბოლო ათი წლის განმავლობაში რწმენისათვის დაღუპულ ერაყელ ქრისტიანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კაპელა გაიხსნა. ტაძარი სამოცდაათ ადამიანს იტევს. „წამებულთა ეკლესიაში“ ყოველდღე აღევლინება დაღუპულთა სულების მოსახსენებელი ლოცვები.

ოფიციალური მონაცემებით, 2003-2012 წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში რწმენისთვის ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ქრისტიანი დაიღუპა.

აპრილის ბოლოს, ერაყის ასირიულ-ქალდეური თემის ეპისკოპოსის, ლუის საკოს თაოსნობით, გაიმართა კირკუკის მკვიდრი ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრა. შედეგად დაარსდა ინტერრელიგიური კომისია, რომელიც ხელს შეუწყობს დიალოგის წარმართვას ადგილობრივ თემთა შორის.

ARაბული ქვეყნების მკვიდრი ქრისტიანები

9 მაისს ბრიუსელში გაიმართა კონფერენცია – „ქრისტიანები არაბულ სამყაროში. ერთი წელი არაბული გაზაფხულის შემდეგ“. როგორც ევროპარლამენტის დეპუტატმა, კონრად შიმანსკიმ აღნიშნა: „არაბული გაზაფხულის ნლისთავზე, რომელსაც თავისუფლება უნდა მოეტანა, ჩვენ ვხედავთ, როგორ დევნიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანებს, რომლებიც აქ ქრისტიანობის დასაწყისიდან ცხოვრობენ. ევროპა ხელს უწყობს დემოკრატიულ პროცესებს არაბულ ქვეყნებში და ამიტომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მათი მკვიდრი ქრისტიანების ბედზე“.

გააზიარე ლოცვა

www.mayfeelings.com
www.facebook.com/mayfeelings

ეს არის სოციალური ქსელი მათთვის, ვისაც ლოცვის გაზიარება სურს. ახალგაზრდების ჯგუფი ავრცელებს ვიდეომიმართვებს (www.youtube.com/watch?v=YxjjyXhO9EA), რომლებშიც კონკრეტული ადამიანები გვიზიარებენ თავიანთ პრობლემებსა თუ სურვილებს და მათთვის და მათთან ერთად ლოცვას გვთხოვენ. პრობლემები სხვადასხვაგვარია, იქნება ეს ძვირფასი ადამიანის ავადმყოფობა, ნერვიულობა მომავალი გამოცდების წინ, თუ, უბრალოდ, მოწყენილობა.

ქრისტიანთა მდევნელი და ევანგელიზატორი

ნილადრი კანჰარი, ინდოეთის შტატ ორისის ერთ-ერთი სოფლის თემის თავი, ოცდახუთი წლის მანძილზე დევნიდა თავის ქრისტიან თანამემამულეებს. კანჰარის მოქცევის მიზეზი მისი უფროსი ქალიშვილის განკურნება გახდა. როდესაც ვერც ექიმები და ვერც ექიმბაშები ვერაფერს გახდნენ და ოჯახს შვილის განკურნების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ევანგელისტი პასტორის პავიტრა კატას ლოცვაზე უარი ვეღარ თქვეს.

კანჰარმა და მისი ოჯახის წევრებმა ქრისტიანობა მიიღეს, ლოცვა და წმიდა წერილის კითხვა, შემდეგ კი კეთილი უწყების გავრცელებაც დაიწყეს. ქრისტიანთა დევნის მორიგ ტალღას იგი შეხვდა არა როგორც მდევნელი, არამედ როგორც დევნილი: თანასოფლელებმა სასტიკად სცემეს და ახალი რწმენის უარყოფა მოსთხოვეს. კანჰარი ამის შემდეგაც აგრძელებდა სახარების გავრცელებას, რაც თავისუფლების ფასად დაუჯდა. ამჟამად იგი პროზელიტიზმის ბრალდებით პატიმრობაში იმყოფება.

ბიბლია ესკიმოსთათვის

ბიბლიის თარგმნა კანადის ესკიმოსთა ენაზე (ინუკტიტუტზე), ბიბლიური საზოგადოების კანადის განყოფილების მეთვალყურეობით, 1978 წელს დაიწყო. თარგმანი შესრულებულია არა მისიონერთა, არამედ ინუიტი ქრისტიანების, – იმ ადამიანების მიერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. ბიბლია ინუიტების ენაზე 5 000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა.

კანადის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, ამჟამად ინუკტიტუტის ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი ოცდათხუთმეტი ათასს შეადგენს.

ქრისტიანობა ინტერნეტის ეპოქაში

ვატიკანის ყოველკვირეულმა გამოცემამ L'osservatore Romano გამოაქვეყნა რეცენზია იეზუიტი მღვდლის, ანტონიო სპადაროს ნარკვევზე – „კიბერთეოლოგია. ქრისტიანობა ინტერნეტის ეპოქაში“, რომელიც, ცოტა ხნის წინ, წმიდა გულის კათოლიკური უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა. ავტორი ცდილობს ტექნოლოგიური სიახლეების მიმოხილვას სოციალურ, კულტურულ და თეოლოგიურ კონტექსტებში.

„გუგლი“ ძიების ოპტიმიზაციის საშუალებას გვაძლევს, თუმცა შეუძლებელია არსის ძიების ავტომატიზაცია. საძიებო სისტემის კრიტერიუმთა მახეში გაბმა თუ არ გვსურს, შეკით-

ხვების სწორად ფორმულირება უნდა ვისწავლოთ“, – წერს ანტონიო სპადარო.

ავტორი აღნიშნავს, რომ ინტერნეტი ურთიერთობათა უსაზღვრო შესაძლებლობას გვაძლევს, მაგრამ, ამავე დროს, იგი შეიძლება ნამდვილ დაბრკოლებადაც იქცეს. „ვირტუალური კონტაქტი, რომელსაც მაუსის ერთი დაწკაპუნებით ვამყარებთ, ვერასდროს შეცვლის რეალურ შეხვედრას. მართალია, ვირტუალური ურთიერთობა არაფერს გვავალდებულებს, შესაბამისად, რისკებიც მცირდება, მაგრამ რჩება ერთი დიდი საფრთხე, – გაუცხოება, გაქცევა გამოგონილ სამყაროში, – რომელიც შეუდარებელ გამოცდილებას გვაკარგვინებს, რომელსაც მხოლოდ პირადული, რეალური ურთიერთობა გვაძლევს“, – ასკვნის ავტორი.

ეკუმენური შეხვედრა შვეიცარიაში

8-9 მაისს ფრიბურგში შვეიცარიის კათოლიკე იერარქები მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდნენ. „შეხვედრის მთავარი მიზანი ურთიერთგაცნობა, ლოცვა, სამოძღვრო და საღმრთისმეტყველო გამოცდილების გაზიარება იყო... კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიები ერთმანეთს „და ეკლესიებად“ აღიარებენ“, – ნათქვამია კათოლიკე ეპისკოპოს რორბერტ ბრუნერისა და მართლმადიდებელი მიტროპოლიტის იერემიას ერთობლივ კომუნიკეში.

შვეიცარიაში ამჟამად 150 000 მართლმადიდებელი ცხოვრობს. ქვეყნის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა ასამბლეაში შვიდი იერარქია, კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციას კი თორმეტი მღვდელმთავარი წარმოადგენს.

ბენინის „ჯადოქარი ჩვილები“

კათოლიკე მისიონერთა ინიციატივით, ბენინის ქალაქ პარაკუში გაიმართა ფორუმი, რომლის მიზანი ე. წ. „ჯადოქარი ჩვილების“ დაცვის გზების მოძიებაა.

მისიონერები მრავალი წლის მანძილზე ცდილობენ ამ პრობლემისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობას. ადგილობრივებს სწამთ, რომ ჩვილებს, რომელთაც სხეულის რაიმე ანომალია აქვთ, ჯადოქრობა და ზიანის მოტანა შეუძლიათ. ასეთ ახალშობილებს, როგორც წესი, კლავენ. „გაერთიანებული რეგიონალური საინფორმაციო ქსელის“ (Integrated Regional Information Networks) ანგარიშში ნათქვამია, რომ „ჩრდილო ბენინის ბევრი თემის რწმენით, თუ ჩვილი თავით (თავის წინმსვლელობით) არ დაიბადა, იგი ჯადოქარია. ტრადიციის თანახმად, საჭიროა მისი მოკვდინება. ჯადოქრობის ნიშნად ითვლება პოლიდაქტილია, აპკი თითებს შორის, ცერებრალური დამბლა, კბილის ანომალიები“.

განგაში პირველმა, მღვდელმა ბიო სანუმ ატეხა. მოღვაწეობის 40 წლის განმავლობაში, მან არაერთი ბავშვი გადაარჩინა გარდუვალ სიკვდილს. ახლა მის საქმეს ფრანცისკელი მისიონერები განაგრძობენ; ისინი მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან, რადგანაც წმიდათაწმიდის – წინაპართა ტრადიციის წინააღმდეგ წასვლას ცდილობენ. სიძნელეთა მიუხედავად, გასული ხუთი წლის განმავლობაში მათ ოცდაათი ბავშვის გადარჩენა შეძლეს.

UEFA EURO 2012

8 მაისს ვარშავის ეროვნულ სტადიონზე სამლოცველო გაიხსნა. „ჩემპიონატის დროსაც, ყველა მონაწილესა და გულშემატკივარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მონაწილეობა მიიღოს ღმრთისმსახურებაში“, – აღნიშნა მამა ედვარდ ბენმა. საგანგებო სამლოცველოები მოეწყო ასევე გდანსკში, პოზნანსა და ვროცლავში. ჩემპიონატის დროს, მოხალისეები გაავრცელებენ სპეციალურ ბუკლეტებს, რომლებშიც მითითებული იქნება ადგილები, სადაც მორწმუნეები მშობლიურ ენაზე მოძღვართან გასაუბრებასა და აღსარებას შეძლებენ.

ბიბლიური მარათონი

27 აპრილიდან 1 მაისამდე ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის შენობაში ასობით მოხალისემ მიიღო მონაწილეობა ბიბლიის საკითხავ ყოველწლიურ მარათონში.

„ჩვენი მიზანია, მოვუწოდოთ ადამიანებს, ყოველდღე იკითხონ ბიბლია, მიიღონ ღმრთის სიტყვა, როგორც სახელმძღვანელო ჭეშმარიტების, იმედისა და მშვიდობის ძიებაში“, – აღნიშნა მარათონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ტერი შეფერ ჰოლმა.

1990 წლიდან ბიბლიის საკითხავი მარათონი მსოფლიოს მრავალ კუთხეში გაიმართა: კანადაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, პერუში, შვედეთში, რუსეთში.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

მამა ადამის საეკლესიო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე

ადამ ოხალი დაიბადა პოლონეთის ქ. დემბიცაში, 1952 წლის 21 ივნისს. მისი დედა დიასახლისი იყო, მამა კი – დურგალი, ამასთანავე, ჰქონდა თავისი მეურნეობა. მშობლებს, მის გარდა, ჰყავდათ ექვსი ქალიშვილი. ისინი ცხოვრობდნენ სოფ. ხეხლიში. თავდაპირველად ადამმა განათლება მიიღო სოფლის სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. როპჩიცეს ლიცეუმში.

1971 წელს ჩაირიცხა ქ. ვროცვავის სასულიერო სემინარიაში.

1977 წელს მღვდლად აკურთხეს ქ. კუდოვაზდრუის იესოს წმინდა გულის სახ. ეკლესიაში. იგი ოთხი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამ ტაძარში ვიკარ-მოადგილედ. შემდეგ ეპისკოპოსმა იგი სასწავლებლად ქ. ლუბლინში, პოლონეთის კათოლიკურ უნივერსიტეტში გაგზავნა.

1986 წელს ადამი დაბრუნდა ქ. ვროცვავში. აქ სამი წელი იყო ვიკარ-მოადგილედ კათედრალურ ტაძარში. ამასობაში დაიცვა დისერტაცია. პარალელურად, ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში.

1989-1991 წლებში მოღვაწეობდა მხოლოდ სასულიერო სემინარიაში, ღვთისმეტყველების ფაკულტეტის მდივნად.

ამ პერიოდში პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიებში წინამძღვრები ყვებოდნენ, თუ როგორ იდევნებოდა საბჭოთა კავშირში ქრისტიანული რელიგია და მასთან ერთად ხდებოდა ტაძრების გაპარტახება, ნგრევა. სასულიერო პირები მოუწოდებდნენ მრევლს, ელოცათ იმისთვის, რომ ქვეყანაში ხალხი დაახლოებოდა ქრისტეს. ამასთანავე, მოხალისეებს აგზავნიდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ქრისტეს სწავლების გასავრცელებლად. მოხდა წილისყრა, ვინ სად გაემგზავრებოდა. მამა ადამს ამ მისიის შესრულება საქართველოში მოუწია. მაშინ თბილისში მხოლოდ წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა კათოლიკური ეკლესია ფუნქციონირებდა, რომლის წინამძღვარი მამა იან სნეჟინსკი იყო. იგი ერთი დღითაც კი ვერ ტოვებდა ეკლესიას – დროებით შემცვლელი არავინ ჰყავდა.

1991 წელს კარდინალმა გულბინოვიჩმა მამა ადამი ვიკარ-მოადგილედ გამოგზავნა საქართველოში, კერძოდ, წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში. თავდაპირველად მას საბჭოთა კავშირი ეგონა ერთი დიდი, მთლიანი სახელმწიფო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ საქართველო ცალკე ქვეყანაა თავისი ისტორიით, კულტურით, ადათ-წესებით. მისი ჩამოსვლა ჩვენი ქვეყნისთვის ავბედით პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ მამა ადამს დროებით დარჩენა ჰქონდა ჩაფიქრებული, იგი დღემდე განაგრძობს აქ მოღვაწეობას, ვინაიდან თვლის, რომ მისი მისია ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

1995 წელს მამა იან სნეჟინსკი უკრაინაში წავიდა და მამა ადამი დაინიშნა ეკლესიის წინამძღვრად.

მამა ადამს გულთბილი და სათნო დამოკიდებულება აქვს მრევლთან, ეროვნებისა და რასის მიუხედავად, მისთვის ყველანი ღმრთის შვილები არიან. იგი ცდილობს, მაქსიმალურად ჩააბას მრევლი წმინდა წირვაში და დაახლოოს ქრისტესთან. მამა ადამი არ ნანობს, რომ ღმერთმა თავისი მისიის შესასრულებლად საქართველოში მოავლინა. იგი დადის იესოს კვალდაკვალ, „გაფანტული ცხვრების“ მოსაკრებად.

მამა ადამის მიზანია ქართველი ხალხის ევანგელიზაცია. იგი ცდილობს, იყოს „ადამიანების მებადური“ ამ წმინდა საქმეში. ამასთანავე, ჩაფიქრებული აქვს წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკური ეკლესიის რესტავრირება, განსაკუთრებით, გუმბათის აღდგენა.

წელს, 21 მაისს, მამა ადამს მღვდლობის 35-ე წელი შეუსრულდა, ხოლო 21 ივნისს დაბადებიდან 60 წელი უსრულდება.

წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლი ულოცავს ორივე იუბილეს, უსურვებს სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეს, დღეგრძელობას, წარმატებას უფლის ნების შესრულებაში, დასახულ მიზანთა განხორციელებას.

მანანა გიძოშვილი

P.S „საბას“ რედაქცია უერთდება წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლის მილოცვას და მამა ადამს უსურვებს უფლის წყალობას, ნაყოფიერ მოღვაწეობას, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

წმიდა იოსების დღესასწაული უდეში

წმიდა იოსების დღესასწაული კათოლიკურ სამყაროში აღინიშნება 19 მარტს და, ასევე, პირველ მაისს; წმ. იოსები არის სიმბოლო მშრომელი, კეთილი და ოჯახზე მზრუნველი ადამიანისა, ის ახალგაზრდა ოჯახების მფარველი და დამხმარეა.

უდე ადიგენის რაიონის ყველაზე დიდი და ულამაზესი სოფელია, ხალხიც კეთილი, შრომისმოყვარე და განსწავლულია. სოფელში ორი კათოლიკური ეკლესიაა (სამწუხაროდ, ორი საუკუნის წინ აგებული დიდი და ულამაზესი ეკლესია კათოლიკეებს წაართვეს და იქ ახლა მართლმადიდებლები ატარებენ ღვთისმსახურებას, – ც.ხ. რედაქცია). უდეს „ქვედა ეკლესია“ იოსებ მშრომელის სახელზეა ნაკურთხი და მისი დღესასწაული პირველ მაისს აღინიშნება. სწორედ ამ დღეს, წმ. კამილოს ცენტრიდან, მამა აკაკის თაოსნობით, ჩვენც გავემგზავრეთ ეკლესიის მოსალოცად და დღესასწაულზე დასასწრებად. სოფელში ჩვენს ჩასვლას მოუთმენლად ელოდნენ და მშვენიერი დახვედრაც მოგვიწყვეს. დღესასწაულზე, ჩვენს გარდა, იყვნენ მომლოცველები მესხეთის სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოებიდან: ახალციხიდან, არალიდან, ივლიტადან, ვალე-

▶ 6 გვ.

გვსურს, ვემსახუროთ ღმერთს ეკლესიაში, საკურთხეველთან

ვალეს სამრევლომ დიდად გაიხარა 2012 წლის 22 აპრილს, წმიდა წირვის დროს, როდესაც ეკლესიის წინამძღვრის, მამა ზურაბის მიერ დასმულ კითხვაზე: „გსურთ თუ არა, ემსახუროთ ღმერთს ეკლესიაში, საკურთხეველთან, წმიდა მსახურების დროს“, – სამრევლოს თოთხმეტმა ახალგაზრდამ ერთხმად მივუგეთ (დავჭექეთ): „გვსურს!“ შემდეგ ყველამ დავდეთ ფიცი, რომ ჩვენს ვალდებულებებს კარგად და მთელი გულით შევასრულებდით.

მამა ზურაბის დალოცვის შემდეგ, ჩაგვაცვეს მინისტრანტის სამოსი და მოძღვარმა საკურთხეველთან მიგვიწვია.

ჩვენ, სანამ მინისტრანტებად გვაკურთხებდნენ, მოსამზადებელი დიდი გზა გამოვიარეთ. კერძოდ, 2011 წლის ოქტომბრიდან კვირაში ერთჯერ (ორშაბათობით) ვიკრიბებოდით ეკლესიაში და მამა ზურაბი გვიხსნიდა და გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მინისტრანტი ღმერთს ეკლესიაში.

მოუთმენლად ველოდით მინისტრანტებად კურთხევის დღეს, იმ დღეს, როდესაც მოძღვრის მიერ დასმულ კითხვაზე: გვსურდა თუ არა ღმერთის მსახურება, ამაყად დაგვემოწმებინა ჩვენი თანხმობა.

ეს დღე ყველა ჩვენგანისთვის დაუვიწყარი და სასიხარულო იქნება. ვეცდებით, მთელი გულით ვემსახუროთ ღმერთს საკურთხეველთან. ვინ იცის, იქნებ ამ ჯგუფიდან რომელიმეს მოუხმოს უფალმა მღვდლად მსახურებისთვის. დიდ მადლობას მოვახსენებთ მამა ზურაბს ჩვენზე ზრუნვისთვის.

ვალეს მინისტრანტების ჯგუფი

წმიდა იოსების დღესასწაული უდეში

◀ 5 გვ.

დან... დღესასწაულის მთავარი და საპატიო სტუმარი იყო წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი მარეკ სოლნიჩეკი, რომელიც გაუძღვა სადღესასწაულო წმიდა წირვას. წირვის მსვლელობაში მონაწილეობდნენ სხვა სასულიერო პირებიც. როგორც მთავარეპისკოპოსმა აღნიშნა: წმ. იოსები იყო მეტად კეთილი, მშრომელი, ოჯახის ბურჯი; მისგან გამოდიოდა სითბო, სიკეთე და ჭეშმარიტება. მისი ძის მეოხებით, ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვიყოთ ერთმანეთის მიმტევებელნი და მოყვარულნი. წირვის დასასრულს, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობისაგან ყველამ მივიღეთ კურთხევის მადლი. წირვის დასრულების შემდეგ, ყველანი ნადიმზე მიგვიპატიჟეს და ჩინებულად გაგვიმასპინძლდნენ.

დრომ სწრაფად გაირბინა და მოსაღამოვდა კიდეც, ჩვენ გულითადად დავემშვიდობეთ მასპინძლებს და გეზი არლისკენ ავიღეთ. მთავარეპისკოპოსმა მოინახულა არლის წმ. იოსების ეკლესია და ადგილობრივი „კარიტასი“, აკურთხა ისინი, დალოცა ბავშვები და მოსახლეები.

არლიდან რაბათისკენ გავეშურეთ, სადაც შენდება ეკლესია და მონასტერი. ეკლესიის გახსნა ოქტომბერში იგეგმება და ახალციხის მრევლს საშუალება ექნება, ილოცოს ეკლესიაში, რასაც მრავალი წელია, ელიან.

ვფიქრობ, ეს მომლოცველობა სასიკეთოდ წაადგება ყველა ჩვენგანს და გაგვაერთიანებს ქრისტეს სიყვარულში. დაე, ღმერთი იყოს ჩვენი და ყველას მფარველი; დაე, იესო ქრისტემ დაისადგუროს ჩვენს გულებში.

მაია ანთიძე

იუგილე

ჩვენ ქართველი კათოლიკენი ვართ!

100 წელი ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან

2012 წლის 24 მაისს კათოლიკე მღვდლის, დიდი ქართველი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის, მამა ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. კათოლიკური ეკლესიის კულტურისა და ეკუმენური საბჭოს ინიციატივით, ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმა. ამჯერად, ამ ღონისძიებებს, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგეობისა და რამდენიმე სკოლის (N1, N5 და N6) ერთობლივი თანამშრომლობით, მამა ივანე გვარამაძის მშობლიურმა ქალაქმა, ახალციხემ უმასპინძლა. ყველაფერი დიდი ქართველის საფლავზე მისი სულის მოსახსენებელი პარაკლისით დაიწყო, რომელიც მეუფე ჯუზეპემ აღავლინა. აქვე იყვნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირები, ასევე, მესხეთის კათოლიკე მოსახლეობაც. სტუმრებს შორის იყვნენ მამა ივანე გვარამაძის პირდაპირი შთამომავლები და მოგვარეებიც, მათ შორის, სომხეთში საქართველოს დესპანის მეუღლე და მამა (თვით დესპანმა, დიდი სურვილის მიუხედავად, მოსვლა ვერ შეძლო).

ღონისძიება ახალციხის ახლად აშენებულ ბიბლიოთეკაში გაგრძელდა, სადაც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მოკლედ ისაუბრეს მამა ივანე გვარამაძის დიდ ღვაწლზე სხვადასხვა სფეროში: ლექსიკოგრაფიაში, მესხეთის ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საგანმანათლებლო სფეროში.

ღონისძიება გახსნა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ციური ლაფაჩმა. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, გვარამაძის ცხოვრებაზე ისაუბრა ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორმა და მუზეუმის თანამშრომელმა, ნატო ყრუაშვილმა. „... მამა ივანე გვარამაძემ, მის თანამედროვე პეტრე ხარისჭირაშვილთან ერთად, მცირე წვლილი შეიტანა ასევე სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მშენებლობაში. „დღის განმავლობაში ისინი ქუჩაში ისხდნენ და ითხოვდნენ მოწყალებას და აღებული ფულით დღიურ გასამრჯელოს უხდიდნენ ეკლესიის მშენებლებს, – აღნიშნა ქ–ნმა ნატომ. ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ივანე გვარამაძის საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ის აქტიურად თანამშრომლობდა წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომლის დახმარებითაც მან დააარსა სკოლები მესხეთის სხვადასხვა სოფლებში; ახალციხეში გახსნა ბიბლიოთეკა. სერაფიმე მერაბიშვილი სწორად აფასებს მამა ივანე გვარამაძის ღვაწლს: „სწორედ მამა იოვანეს პროპაგანდაა, რომ დღეს ჩვენ ქართველებად ვიცანით თავი, ამის გამო იგი დაუვიწყარი უნდა იყოს“

ცალკე აღნიშვნის ღირსია გვარამაძის ლიტერატურული შემოქმედება. მისი წიგნი „მშობლები და შვილები“ დიდ იშვიათობად არის ქცეული და მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ერთგვარ კოდექსს წარმოადგენს. ძალიან კარგი იქნება, თუ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, წიგნი ხელახლა გამოიცემა“, – დასძინა ნატო ყრუაშვილმა.

ივანე გვარამაძის ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობაზე ისაუბრა ბატონმა მერაბ ბერიძემ: „როგორც ცნობილია, მამა ივანე გვარამაძეს შედგენილი აქვს მრავალი ლექსიკონი: თურქულ–ქართული, ფრანგულ–ქართული, ქართულ–ფრანგული და კიდევ რამდენიმე, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ეს ლექსიკონი XIX-XX საუკუნეების კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტია, რომელიც მოიცავს 50 000 ლექსიკურ ერთეულს (ამ ლექსიკონში არ გვხვდება სულხან–საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში შესული სიტყვები). აღნიშნული ლექსიკონი ივანე გვარამაძეს შეუდგენია 1893 წელს და ნიკო მარისთვის

▶ 8 გვ.

მ. ივ. გვარამაძის ნარდის მაგიდა (მარცხნივ)

მ. ივ. გვარამაძის პირდაპირი შთამომავლები

◀ 7 გვ. გადაუგზავნია სარეცენზიოდ. ნიკო მარს, მოუცლელობის გამო, მაშინვე ვერ მიუქცევია ყურადღება და წიგნი დაკარგულა. ამის შემდეგ ივანე გვარამაძეს ხელახლა შეუდგენია ლექსიკონი. დღესდღეობით ამ ორი ხელნაწერიდან ერთი ინახება ახალციხის უნივერსიტეტში, მეორე – ხელნაწერთა ინსტიტუტში. აღნიშნული ლექსიკონი იმითაც არის ღირებული, რომ ის უშუალოდ მესხური კილო–სიტყვების ლექსიკონია. ჩვენ გვაქვს დაგეგმილი ამ ლექსიკონის გამოშვება და ვცდილობთ, მოვიძიოთ ფონდები, რომლებიც დააფინანსებენ ამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნის გამოცემას.

ივანე გვარამაძე იყო პიროვნება, რომელმაც ყველაფერს დიდი სირთულეების გადალახვით მიაღწია. მის მღვდლად კურთხევას ბევრი ეწინააღმდეგებოდა, ასევე დიდი სირთულით აღიდგინა მან საკუთარი გვარი – გვარამაძე, თუმცა ეს სირთულეები მას არ აშინებდა, პირიქით, უფრო აძლიერებდა“, – დასძინა მერაბ ბერიძემ.

მუზეუმის თანამშრომელმა მაია ხითარიშვილმა ისაუბრა ივანე გვარამაძის მიერ კათოლიკობისათვის წარმოებულ ბრძოლაზე. XIX საუკუნის 80–90–იანი წლები ქართველი კათოლიკეებისათვის მეტად რთული იყო. იმის გამო, რომ ამ დროს მესხეთის ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში სომხური ტიპიკონის მიხედვით აღევლინებოდა (იძულებით) წირვა–ლოცვა, ქართველ კათოლიკეებსაც სომხური ეროვნების წარმომადგენლებად წერდნენ. მამა ივანე გვარამაძე თავგამოდებით იბრძოდა ამ ცილისწამების გასაქარწყლებლად, მას თვით რომის პაპისთვისაც მიუმართავს და თავისი მტკიცება ვატიკანის არქივში დაცული ცნობებით შეუჯერებია. ის ხშირად აქვეყნებდა გაზეთ „მშაკის“ (სადაც იბეჭდებოდა სტატიები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებდნენ, რომ „საქართველოში ქართველი კათოლიკეები არ არსებობენ, ისინი სომეხი კათოლიკენი არიანო“) საპასუხო წერილებსაც: „პასუხი სომეხ ნაციონალურ გაზეთ „მშაკის ავტორებს“, „განა არ არიან ქართველი კათოლიკენი?“, „ქართველ კათოლიკეთა კითხვაზედ“, „გაგონება ბატონო დარბაისელნო“, და ა.შ. დასახელებულ წერილებში ავტორი, დოკუმენტური მასალების მოშველიებით, ამტკიცებდა ქართველ კათოლიკეთა საქართველოში ოდითგანვე არსებობას. მისი აზრით, ქართველი კთოლიკენი საქართველოში თამარის დროიდან არსებობენ (ნ. ყრუაშვილი, ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში). თითქმის მთელი სიცოცხლე შეალია ტერმინის – „ქართველი კათოლიკე“ დამკვიდრებას.

1893 წელს გამოვიდა მეფის რუსეთის ბრძანება ეკლესიებში ქართულად წირვა–ლოცვის აღვლენის აკრძალვის შესახებ. ამავე წლის ნოემბერში, მამა ივანე გვარამაძემ თვითნებურად დაარღვია ეს წესი და სახარება ქართულად წაიკითხა, მას სხვებმაც მიბაძეს, რის გამოც მას პრობლემები ჰქონდა საეკლესიო მმართველობასთან.

გვარამაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ისაუბრა მუზეუმის თანამშრომელმა ნანა ბალახაშვილმა. მის კალამს ეკუთვნის „მიხაილ გაბრონის წამება“, „წმიდა ნინო“, „ახალი ღმერთი“, „ვრცლად დაბადება“ (რომელიც საკმაოდ დიდტანიანი ხელნაწერია, შედგება 800 გვერდისაგან). გვარამაძე წერდა ლექსებსა და თხზულებებს, რომლებიც შესულია იაკობ გოგებაშვილისა (ხალხურის სახელით ცნობილი რამდენიმე ლექსი) და აკაკი წერეთლის (გამოცანა–ანდაზები) წიგნებში („საბას“ ბოლო ნომრებში გაგრძელებებით იბეჭდება ივანე გვარამაძის მიერ ნათარგმნი კონრად ბოლონდენელის წიგნი – „ძველი ღმერთი“, – ც.ხ.). ივანე გვარამაძეს ძალზე ლამაზი კალიგრაფია ჰქონია, თუმცა წერდა ძალიან წვრილად, ამის გამო რამდენჯერმე უკან დაუბრუნებიათ სტამბიდან წიგნი, მოთხოვნით, უფრო დიდი ასოებით დაეწერა.

ღონისძიების ბოლოს, დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც დიდი მადლობა მოახსენა მუზეუმის თანამშრომლებს საინტერესო მოხსენებებისთვის, ვინაიდან მისთვის ბევრი რამ ამ დრომდე უცნობი იყო.

საზოგადოებას მიესალმა გვარამაძის პირდაპირი შთამომავალი (მეოთხე თაობა), არჩილ გვარამაძე: „ჩვენთვის დიდად საამაყოა მემკვიდრეობა ამ დიდი პიროვნებისა, ადამიანისა, რომელიც ასე მრავალმხრივი მოღვაწე და გულშემატკივარი იყო თავისი კუთხისა, სამშობლოსი, მშობლიური ენისა და რელიგიისა. დიდი მადლობა აქ მობრძანებისთვის და მისი გახსენებისთვის. ჩვენ ვცდილობთ, რომ მისი სახელი ღირსეულად გადავცეთ შთამომავლობას“.

„აღბათ, ახალს ვერაფერს გეტყვით ივანე გვარამაძის შესახებ, რაც უკვე თქვეს პატივცემულმა მომხსენებლებმა, – განუცხადა ჟურნალ „საბას“ კორესპონდენტს არჩილ გვარამაძემ, მაგრამ გადმოცემით ვიცით, რომ მამა ივანე ძალიან მტკიცე და შეუპოვარი ადამიანი ყოფილა. ის ხელს უწყობდა თეატრის განვითარებას, და ნებას რთავდა, ეკლესიასთან არსებულ სამლოცველო სახლში თეატრალური წარმოდგენები და რეპეტიციები გაემარ-

▶ 9 გვ.

ვუილოცავთ!

2012 წელს, 27 აპრილიდან 6 მაისამდე, თურქეთის ქალაქ ქემერის ხელოვნების მოყვარულმა საზოგადოებამ კონკურს-ფესტივალ „ჰარმონიას“ უმასპინძლა, სადაც, ქალბატონ ციცინო ბიჭიკაშვილის ძალისხმევით, საქართველოს ქალაქებიდან წარგზავნილი, 7-დან 18 წლამდე ასაკის მუსიკოს-შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

მათ საკუთრი ძალები მოსინჯეს სამ ნომინაციაში, კერძოდ: საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალურ-საშემსრულებლო ხელოვნებაში. საუკეთესო საშემსრულებლო დონით აღტაცებულ ჟიურის, ვირტუოზთათვის საპრიზო ადგილების გაყოფაც კი მოუხდა.

ყველა ბავშვისა თუ ახალგაზრდის, მით უფრო ქართველის, წარმატება გვახარებს, მაგრამ მიკერძოებაში ნუ ჩაგვითვლით, თუ ჩვენი კათოლიკური საკრებულოების წევრებს, ქუთაისელ ვიქტორ ცხაკაიასა და ბათუმელ რომა დავიდოვს, განსაკუთრებით ვუქომაგებთ.

ვიქტორმა (პედაგოგი იაკობ სკოროდუმოვი, ინსტრუმენტი ვალტორნა) ბრწყინვალედ შეასრულა სენ-სანსის „საკონცერტო პიესა“, ფორეს „გამოღვიძება“ და თაქთაქიშვილის „მელოდია“, რითაც სმენაგაფაქიზებული მსმენელისგან აპლოდისმენტები, ჟიურისგან კი უმაღლესი შეფასება და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ასევე აღნიშვნის ღირსია რომას საშემსრულებლო ოსტატობა და მოპოვებული მეორე ადგილი.

საერთოდ კი მეგობრობამ და სიყვარულმა გაიმარჯვა; ყველა მონაწილე გულწრფელად ულოცავდა ერთმანეთს წარმატებას. ფესტივალში და გალაკონცერტში ხომ კონკურსგარეშე ბევრი ქართველი თუ თურქი მონაწილეობდა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, გულით გავიხაროთ ჩვენი ახალგაზრდების წარმატებით და კიდევ უფრო დიდი მიღწევები ვუსურვოთ მათ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში.

ქუთაისისა და ბათუმის საკრებულო

ვიქტორ ცხაკაია

რომა დავიდოვი

◀ 8 გვ. თათ. ამის გამო მას უსაყვედურეს, პასუხად კი მიუგო: მე ვარ მღვდელი, ეს არის ჩემი საყდარი, სადაც, მინდა ვიყვირებ, მინდა – ვიხტუნავებო. „მისი პირადი ცხოვრებიდან მახსენდება ერთი რამ, – საუბარში ჩაერთო გოჩა გვარამაძე, – მისი შვილიშვილი, – მარო ბებია (მარიამ ოდიკაძე–გვარამაძისა) გვიყვებოდა, რომ მას ძალიან ყვარებია ტკბილეული, ჩირი და მუდამ ჰქონდაო მაგიდაზე. ძალიან არ უყვარდა, როდესაც მის მაგიდას მიუახლოვდებოდნენო და როდესაც ჩირს მოვიპარავდი, შე–შეჩვენებულოო, მსაყვედურობდა“.

საიუბილეო ზეიმი დასრულდა ახალციხის თეატრში, სადაც ახალციხის სამი სკოლის (N1, N5 და N6) მოსწავლეებმა მხატვრული კითხვით წარმოადგინეს სხვადასხვა ეპიზოდები მამა ივანე გვარამაძის ბიოგრაფიიდან. ლიტერატურულ კომპოზიციას მუსიკალურად აფორმებდა ზაზა თამარაშვილის ფოლკლორული ანსამბლი. თეატრში მაყურებლების ტევა არ იყო. ღონისძიების ბოლოს, ყველას კმაყოფილება ემჩნეოდა სახეზე. მე, როგორც მესხეთის მკვიდრი, და როგორც კათოლიკე, ორმაგად კმაყოფილი და ამაყი ვიყავი იმითაც, რომ დამსწრე საზოგადოებამ კვლავ მოისმინა (რომელიც რამდენჯერმე გაიმეორეს სხვადასხვა კონტექსტში), რომ ისეთმა დიდმა მოღვაწემ, როგორიც ივანე გვარამაძე იყო, მთელი თავისი ცხოვრება შეალია ტერმინის – „ქართველი კათოლიკე“ – დამკვიდრებას.

შორენა პარუნაშვილი

ჯოანა ბეჩეტა მოლა

„დიდებული ქალბატონი, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, მეუღლე, დედა, პროფესიონალი ექიმი, რომელმაც სამაგალითოდ გასწირა თავისი სიცოცხლე იმისთვის, რომ არ შელახულიყო სიცოცხლის ღირსების საიდუმლო“, – ამ სიტყვებით დაახასიათა მილანის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა კარლო მარია მარტინიმ წმიდა ჯოანა ბერეტა მოლა, რომლის გარდაცვალებიდან ორმოცდათ წელს ამ თვეში აღნიშნავენ.

მომავალმა წმიდანმა, რომელიც ყოველთვის ენდობოდა უზენაესის გულმოწყალებას, ჯერ კიდევ მშობიარობამდე გააფრთხილა თავისი მეუღლე, პიეტრო მოლა: „თუ არჩევანის გაკეთება მოგიხდება ჩემსა და ბავშვს შორის, რომელსაც მუცლით ვატარებ, წამითაც არ იყოყმანო: აირჩიე პატარა, ამას მოვითხოვ. გადაარჩინეთ იგი“. მისი ეს ექსტრემალური არჩევანი 1962 წლის 21 აპრილს განხორციელდა მონცას საავადმყოფოში; ეს არჩევანი, რომელმაც მისი სიკვდილი გამოიწვია (1962წ. 28 აპრილი), მისი არაჩვეულებრივი ცხოვრების კულმინაციად იქცა; ქრისტეს მაგალითით, რომელმაც „შეიყვარა თავისიანები... ისევე ბოლომდე უყვარდა ისინი“ (იოან. 13,1), ოჯახის წმინდა დედა, – როგორც მას უწოდა იოანე პავლე II-მ, მისი კანონიზაციის დროს, 2004 წლის 16 მაისს, – გმირული ერთგულებით ეკიდებოდა ქორწინებაში აღებულ მოვალეობებს. მსხვერპლად გაღების ის უკიდურესი ფორმა, რომელიც მან აირჩია და რამაც მას სიცოცხლის დღეები შეუმოკლა, იმაზე მეტყველებს, რომ მხოლოდ ის შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას, ვისაც ჰყოფნის გაბედულება, მთელი არსებით მიეძღვნას ღმერთსა და მოყვასს. იგი ოჯახში მეათე იყო ცამეტი შვილიდან; მშობლებმა ჯოანა სიყვარულით, სიმშვიდით, ქრისტიანული სულისკვეთებით აღზარდეს. პირველი ზიარება მან ხუთი წლის ასაკში მიიღო, ეს იყო მისი პირველი შეხვედრა იესოსთან ევქარისტიაში. ლიცეუმსა და უნივერსიტეტში სწავლის პერიოში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კათოლიკურ მოძრაობებში (Azione Cattolica). 1949 წელს, პავიას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან მიიღო ექიმი-ქირურგის დიპლომი; 1950 წელს იგი სამედიცინო ამბულატორიას ხსნის ქ. მეზეროში; 1952 წელს კი მილანის უნივერსიტეტში იმაღლებს კვალიფიკაციას პედიატრიის განხრით. ექიმის პროფესიას იგი ისე ეკიდება, როგორც „მისიას“; დედების, ბავშვების, მოხუცებისა და გაჭირვებულთა მიმართ გაწეული დახმარების პარალელურად, იგი, როგორც მოხალისე, კონსულტაციას უწევს დედებს, ბაგა-ბაღისა და დაწყებითი სკოლების ბავშვებს. მის ყველა არჩევანს ახასიათებდა ენთუზიაზმი, ერთგულება და რწმენა. ასეთივე სულისკვეთებით იღებს ჯოანა ქორწინების მადლს: „ძალიან ვენდობი უფალს და მჯერა, რომ შემეწევა, რათა მისი ღირსეული სასძლო ვიყო“, – სწერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში, 1955 წელს, მაშინ ჯერ კიდევ თავის დანიშნულს, პიეტრო მოლას, რომელიც შემდგომ მისი მეუღლე გახდა. ქორწინებიდან ერთი წლის თავზე გაჩნდა პირველი ვაჟიშვილი, პიერ ლუიჯი, რამდენიმე წლის შემდეგ კი ქალიშვილები: მარიოლინა და ლაურა. ჯოანას შესწევდა უნარი, უბრალოებითა და წონასწორობის დაცვით, ერთმანეთთან დაეკავშირებინა თავისი მოვალეობები: დედის, ცოლის, ექიმის, და აქვე, სიცოცხლის უდიდესი ხალისი გამოეჩინა, რაც ოდნავადაც არ ჩამქრალა 1961 წლის სექტემბერში, როდესაც, რიგითი ორსულობის მეორე თვეზე, საშვილოსნოს ფიბრომა დაუდგინეს. ოპერაციამდე, – მან კარგად იცოდა ის რისკი, რაც ორსულობის გაგრძელებას მოყვებოდა, – იგი ემუდარებოდა ქირურგს, რომ ის სიცოცხლე გადაერჩინა, რომელსაც მუცლით ატარებდა, თავად კი ლოცვებში ჩაიძირა. 1962 წლის 21 აპრილს, დედის სიცოცხლის სანაცვლოდ, სამყაროს მოევლინა ჯანა ემანუელა; სიკვდილის სარეცელზე მყოფი ჯოანა ჩურჩულით ლოცულობდა: „იესო მიყვარხარ, იესო მიყვარხარ“... ასე დატოვა მეუღლე და ოთხი შვილი. იგი 39 წლისა იყო. მის დაკრძალვაზე შეკრებილი ადამიანები ერთსულოვნად გამოხატავდნენ ღრმა მწუხარებას, და რწმენითა და ლოცვით მიუყვებოდნენ პროცესიას.

ილარია სოლაინი

XIII საუკუნე და ეკლესიის ერთიანობა

„ახლა ვნახოთ, როგორი „ძმური განწყობა“ ჰქონდა ათონზე ლათინების მიმართ ივერონს და პირიქით: 1274 წელს ლათინებმა დაარბიეს ივერონის საძმო, ლათინებმა და არა ჯვაროსნებმა, მაგრამ შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს და ამგვარი ქმედებანი ათონზე ლათინთა ბატონობის დროს ხშირი იყო“.

(Д. Оболенский, Византийских портретов
М. Янус-к, 1998, ц. 500)

პაპი ადრიანე IV

გაცილებით ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა, სწრაფად და უშუალოდ გამეცა პასუხი ამ ციტატაზე, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, ვამჯობინებ, გარკვეული დრო დავუთმო XIII საუკუნისთვის დამახასიათებელ რამდენიმე სტიგმაზე საუბარს და ამით იმ გავრცელებულ პრაქტიკას გავექცე, რითაც ყველაფერს ერთ ჭრილში განიხილავენ, ცალმხრივად აანალიზებენ მოვლენებს და მხედველობაში არ იღებენ თავად იმ ეპოქის კომპლექსურობას, როცა ევროპა მნიშვნელოვან კულტურულ ძვრებს განიცდიდა: *თუნდაც უნივერსიტეტების დაარსება რამდენიმე სამეფოსა და საგრაფოში; ფრიდრიხ II-ისა და ალფონს ტოლედოელის მოღვაწეობა; ანტიკური კულტურის გადარჩენა და ეროვნული ლიტერატურის აღმოცენება; ეკონომიკის განვითარება: საბაზრო ვაჭრობა (ვენეცია, გენუა...); დიდი მოგზაურობები (მარკო პოლო) და ასევე ახალი რელიგიური ორდენების დაარსება, როგორიც იყო: ფრანცისკელთა და დომენიკელთა ორდენები; ამას დამატებული, დიდებული ფიგურები პაპებისა და წმიდანებისა,* – აღმოსავლურ ეკლესიებთან, კერძოდ, კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ურთიერთკავშირი; ამ კუთხით, ეს ფრიად დაძაბული საუკუნე გახლდათ.

XIII საუკუნე იწყება ვენეციელთა მიერ ქალაქ კონსტანტინოპოლის სამარცხვინო დაპყრობითა და ნგრევით (1204 წ.), რადგანაც ბიზანტიის იმპერატორის პოლიტიკა ჯვაროსნების წარმატებული გზის დაბრკოლებად ითვლებოდა. ვიდრე ჯვაროსნობა დასრულდებოდა, – მიუხედავად ისეთი ინციდენტებისა, როგორიც გახლდათ კონსტანტინოპოლის პატრიარქ მიხეილ კერულარიუსსა და პაპის ლეგატებს შორის 1054 წლის ურთიერთშეჩვენება, – გარკვეული კავშირურთიერთობა ამ ორ ეკლესიას შორის მაინც არსებობდა; და თუ გათიშვებზე საუბრობდნენ, მხოლოდ არაქალკედონურ ეკლესიებს გულისხმობდნენ, ხოლო რომის ეკლესიასთან სადავო საკითხი იყო ის, თუ რა ძალაუფლება გააჩნდა პირველ საყდარს და ვისზე ვრცელდებოდა იგი. ყოველივე ამის დასამოწმებლად, აქვე მინდა მოვიყვანო ამონარიდი თესალონიკის მიტროპოლიტ ბასილის მიერ პაპ ადრიანე IV-სადმი 1155 წელს გაგზავნილი წერილიდან: *„ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა საძირკველი ჩვენი რწმენისა, გარდა იმისა, რაც ქრისტემ დაგვიდგინა. ამ საძირკველს ვაღიარებთ და ვქადაგებთ შენთან, ჩემთან და მათთან ერთად, ვინც კონსტანტინოპოლის სამოციქულო ტახტს მიეკუთვნება. ორივე ეკლესიაში იქადაგება ერთი და იგივე რწმენა, აღევლინება ერთი და იგივე შესაწირავი კრავი – იესო, წუთისოფლის ცოდვათა ამღები. იგივე შესაწირავი აღევლინება როგორც დასავლელ სამღვდელოთა მიერ, რომლებიც შენი უზენაესი მორჩილების ქვეშ სწირავენ, ასევე მათ მიერ, რომლებიც აღმოსავლეთში, კონსტანტინოპოლის უზენაეს საყდარში ეწევიან მღვდელმსახურებას. მართალია, ჩვენს შორის რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი წამოიჭრა, რამაც ერთმანეთისაგან გაგვყო, ჩვენ მაინც გვაერთიანებს ერთი და იგივე და ერთადერთი სულიწმიდა“.*

ამრიგად, კონსტანტინოპოლის ქრისტიანები დასავლეთთან მომხდარ განხეთქილებას საბოლოო სქიზმად არ აღიქვამდნენ, რადგანაც გავრცელებული იყო აზრი, რომ დასავლეთთან ზიარების განწყვეტა გამოწვეული იყო ნაკლებად ინფორმირებული თუ განსწავლული გერმანელი „ბარბაროსების“ მიერ, რომლებმაც დროებით დაიკავეს რომაული ტახტი, და რომ საბოლოოდ მაინც აღდგებოდა ქრისტიანული სამყაროს უწინდელი ერთიანობა, ერთადერთი ლეგიტიმური იმპერტორის, ანუ კონსტანტინოპოლის იმპერატორისა, და ხუთი პატრიარქის მეთაურობით. ეს მოლოდინი მას მერე შესუსტდა, რაც ჯვაროსნებმა, ლათინი პრელატების

მომხრეობით, შეუტიეს ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მაშინ, როდესაც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ეს ანტიკური ქალაქები აიღეს. საბოლოო დარტყმა კი 1204 წელს, IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მიაყენეს, როცა კონსტანტინოპოლი სამარცხვინოდ გაძარცვეს, ბოსფორში ტახტზე ლათინი იმპერატორი დასვეს, ბიზანტიის ტერიტორიები დაყვეს ფეოდალურ სამთავროებად და ლათინ თავადებს გაუნაწილეს; *აია სოფიაში* დასვეს ლათინი პატრიარქი, რომელიც თავად პაპის, ინოკენტი III-ის მიერ იქნა დამტკიცებული. იმის ნაცვლად, რომ დასავლელ ჯვაროსნებს ქრისტიანული ერთობა საერთო ძალისხმევით აღედგინათ ისლამთან საბრძოლველად, პირიქით, ისინი დაშორდნენ ბერძნებს, ხოლო ეს უკანასკნელნი დარწმუნდნენ, რომ პაპის სურვილი იყო, მთელ ეკლესიაზე ძალაუფლება მოეპოვებინა. იურიდიული პრობლემები და ეროვნული ინტერესები საბოლოოდ გადაიჯაჭვა და კიდევ უფრო განაცალკევა ერთმანეთისგან ეს ორი ეკლესია. და მაინც, მართალია, XIII საუკუნე ამ ტრაგიკული მოვლენებით დაიწყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე მხრიდან იყო მცდელობა, საღვთისმეტყველო – საეკლესიო საკითხების გადასაწყვეტად, ლეგატების, ურთიერთმიმოწერის, დისკუსიებისა და სხვადასხვა საყურადღებო მოვლენათა მეშვეობით, მოეძებნათ შეხვედრისა და დიალოგის გზები.

რომში იგრძნობოდა, რომ ერთიანობის მიღწევის ერთადერთი პოტენციური გზა ყველა ეკლესიის რომის ეკლესიაში ასიმილაცია იყო, რაც ცხადი გახდა ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ. საეკლესიო-იურისდიქციულ სფეროში „translatio imperii“, ანუ „ხელისუფლების გადასვლა“ ბერძნულიდან ლათინურში ლამის მექანიკურად ნიშნავდა ეკლესიის ფორმალურ ერთობას. რომაული გაგებით, ეკლესიის ერთობა უკვე მისაღწევი მიზანი კი არ გახლდათ, არამედ უკვე პოტენციურად არსებული რეალობა, რაც ხორცშესხმას საჭიროებდა. რომის უნიონისტური პოლიტიკა აღარ იყო საღვთისმეტყველო დისკუსიის საკითხი, იგი ვიზუალურობისა და აპლიკაციის საგნად იქცა. აღმოსავლეთში ლათინ იერარქთა მოვალეობა იყო, დაერწმუნებინათ ცალკეული ეპისკოპოსები, ან უბრალო აღმოსავლელი მორწმუნე ადამიანები, – კოლექტიურად უკვე კათოლიკეები, – რომ რომის ეკლესიას დამორჩილებოდნენ, რადგან ისინი უკვე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი თავიანთ იმპერატორსა და პატრიარქზე. მიუხედავად იმისა, რომ ლათინები საუკუნეების მანძილზე უცხოელებად ითვლებოდნენ ბერძნულ აღმოსავლეთში, ჩვენ მოწმენი ვართ ეკლესიათა გეოპოლიტიკური წესრიგის ცვლილებებისა შუამდინარეთში: ლათინური დასავლური ეკლესია აღმოსავლეთში განთავსდა, როგორც ლათინური რომის საეკლესიო დანამატი. დროის მოკლე მონაკვეთში, პატრიარქებისა და წამყვანი მიტროპოლიტების „კუნძულებზე“ გაქცევის შედეგად (ბითინია, ეპირუსი, ტრაპიზონი), ჩამოყალიბდა გადასახლებაში მყოფი იერარქია, რომელიც, თავის მხრივ, ლეგიტიმურ მემკვიდრეობას ითხოვდა მიტოვებულ და ამჯერად ლათინი პრელატების მიერ დაკავებულ სატახტოებზე. ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ორმაგი იერარქიის – სატახტოებში მყოფი ლათინი ეპისკოპოსები და ეპარქიებს ჩამოშორებული ტიტულოვანი ბერძნები – დამყარებით, საეკლესიო სქიზმის რეალობა ასე ჩამოყალიბდა და მან შეიძინა სრულიად შეუქცევადი სახე. ადგილზე დარჩენილი ბერძენი ეპისკოპოსები თავიანთ პოსტებს მხოლოდ მას შემდეგ შეინარჩუნებდნენ, როცა ერთგულების ფიცს დაუდებდნენ რომის პაპს და ლათინ პატრიარქს და, ცხადია, ლათინი მიტროპოლიტის მეთვალყურეობის ქვეშ იმსახურებდნენ. რეალურად, ბერძნული ეკლესია, ტერიტორიებთან ერთად, საეკლესიო სივრცესაც კარგავდა და უთავო ორგანიზმად იქცეოდა,

ჯვაროსნები



მიხეილ კერულარიუსი

რომელიც მხოლოდ დაბალი რანგის კლერკებისა და მორწმუნეებისგან შედგებოდა და არ გააჩნდა საკუთარი საეპისკოპოსო იერარქია.

ლიტურგიკულ სფეროში არ ჩანს ის პლურალიზმი, რაც, სავარაუდოდ, საეკლესიო ზიარების მონაპოვარი იყო, ეს უფრო ორი განსხვავებული რიტუალის ჰიბრიდს ჰგავდა: წესების ერთმანეთში აღრევა, რაც საბოლოოდ, გარეგნული კუთხით, ლიტურგიის უნიფიკაციას იწვევს. ასე დასამარდა რიტუალური ფაქტორის საეკლესიო მნიშვნელობა, რაც ოდითგანვე მკაცრ ერთეულს წარმოადგენდა ადგილობრივ საეკლესიო გარემოში და მჭიდრო თანხვედრას გამოხატავდა რიტუალსა და ეკლესიას შორის.

საეკლესიო ცენტრის აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადატანის პრეტენზია გაცხადდა ლატერანის IV კრებაზე (1215წ), საუკუნეების შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანთა წარმომადგენლების არყოფნით (და არა აღმოსავლეთის ეკლესიის) და საპატრიარქოების ტრადიციული იერარქიული წესრიგის დარღვევით, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის მეორე ადგილზე, რომსა და ალექსანდრიას შორის, დაყენებით. საპატრიარქო საყდრების ამგვარი წესრიგის ფორმალური განსაზღვრა, – აღმოსავლეთში დიდი ხნის მანძილზე კოდირებული, – რაც ლატერანის IV კრების V-კაპიტულზე დადგინდა, ისეთ მნიშვნელოვან მომენტში მოხდა, როცა ამ საყდართაგან სამს (კონსტანტინოპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) ლათინური ეწოდებოდა; ბალანსი დაირღვა, რადგან მათი პრეროგატივები, რომის ეკლესიის პრიმატის გამო, აშკარად შეიზღუდა. მართალია, ამ საუკუნეში დასავლეთში ორი კრება იქნა მოწვეული, მაგრამ მათი მნიშვნელობა, – რამდენადაც, დიალოგის მეშვეობით, აქ უნდა ყოფილიყო ეკლესიის ერთობისთვის წამახალისებელი გარემო, – სრულიად კარგავს თავის აზრს.

ყოველივე ამ სირთულეებიდან გამომდინარე, რაც ყველასათვის ცხადი იყო, კონსტანტინოპოლში ეძებენ ახალ პირობებს – modus vivendi, რომელიც დროებით მაინც მისცემდა მოწინააღმდეგე მხარეებს მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას. მალე გადასახლებაში მყოფი კონსტანტინოპოლის ელიტა შეცვალა ლათინი მმართველების ახალმა კლასმა და ჩამოყალიბდა ახალი იდენტობა, ორთოდოქსიასთან განახლებული კავშირის ნიშნით. მოდით, განვსაზღვროთ ეს ახალი იდენტობა, რამდენადაც, სწორედ ამ მომენტში, თავად იდეა, – ყოფილიყო კონსტანტინოპოლი ახალი იერუსალიმი, – თავდაპირველი ანტიიუდაური პერსპექტივა, – ამჯერად ანტილათინურ მნიშვნელობას იძენს. ცვლილებები ბერძნულ საეკლესიო ტრადიციებში, რაც გამოწვეული იყო 1204 წლის მოვლენების შედეგად, ჯერ კიდევ საგრძნობია: ფაქტობრივად, პირველ რიგში, უჩვეულო უკუსვლა საეკლესიო და სარიტუალო კატეგორიიდან ეთნიკურ და ლინგვისტიკურ კატეგორიებში. საპატრიარქო ტაძარში ისეთი ზომიერი პოზიციები, რასაც ჯერ კიდევ თეოფილატე ოხრიდელი (Teofilatto di Ochrida, XI-XIIსს) ამოწმებდა, (რომელიც, დასავლური თეოლოგიის ტრადიციული კრიტიკის მიუხედავად, თავშეკავებული იყო ლათინების ერეტიკოსებად შერაცხვაში), ერთი შეხედვით, უფერულდებოდა უფრო პრინციპული მსოფლმხედველობის დამკვიდრების ხარჯზე. ლატერანის კრების (1215წ.) IV კაპიტული გვაწვდის ერთ-ერთ უძველეს მოწმობას – ბერძენთა მიერ ლათინების გადანათვლის პრაქტიკას, როცა ეს უკანასკნელნი მართლმადიდებლობას იღებდნენ, ასევე მათ წეს-ჩვეულებას – კონსაკრაციის დროს საკურთხევლის წყლით განბანვას, რაზეც ლათინები ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ. თუმცაღა, რამდენიმე იმპერატორი და ლათინებისადმი ლოიალურად განწყობილი ჯგუფის წევრები პირველები შეეცდებიან რომთან ერთობის გზების გამოძებნას და ახალ იმპულსს აძლევენ თავიანთ უნიატისტურ პოლიტიკას, როგორც 1261 წლამდე, ასევე მის შემდეგაც. 1261 წლამდე, ვიდრე იმპერიის დედაქალაქი ნიკეა იყო და გადასახლებაში შეიქმნა იმპერატორ-პატრიარქის ორმაგი კავშირი, ამ მიმართულებით მიდიოდა ლასკარიდების-Lascaridi (ემიგრაცია ნიკეაში) პოლიტიკა (თეოდორ I ლასკარისი, იოანე III დუკა ბატაცი, თეოდორე II ლასკარისი, იოანე IV), რომლებიც მრავალგზის ცდილობდნენ ამ ერთობის დამყარებას, რათა გაეუქმებინათ ლათინი იმპერატორის ლეგიტიმურობა და, ამგვარად, ნიადაგი შეექმნათ კონსტანტინოპოლის ხელახლა დასაბრუნებლად; 1261 წლის შემდეგ კი აუცილებლობას წარმოადგენდა ლათინების მიერ ახლად დაპყრობილი იმპერიის დაცვა. 1261-დან 1453 წლამდე პალეოლოგოსების დინასტია მართავდა ყოველი მხრიდან შეტევის სამიზნედ ქცეულ, სამოქალაქო ომებით შესუსტებულ იმპერიას, რომლის საზღვარი თანდათანობით საიმპერიო ქალაქამდე შემცირდა. ეკლესიის ერთობის პრობლემა, ფაქტობრივად, ყველაზე მწვავე საკითხი გახლდათ პალეოლოგოსთა მმართველობის მთელი პერიოდის მანძილზე.

კონსტანტინოპოლის ხელახალი მოპოვება

მიხეილ VIII პალეოლოგოსი

შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით, 1261 წლის 25 ივლისს, ბიზანტიის რვაასკაციანმა არმიამ, ყოველგვარი ამბოხის გარეშე, დაიკავა კონსტანტინოპოლი, ხოლო ლათინი იმპერატორი ბოლდუინ II გაიქცა; ასე დაინგრა ლათინური იმპერია, დასრულდა ლათინთა ბატონობა. 1261 წლის 15 აგვისტოს, მიხეილი, ოქროს კარიბჭის გავლით, ტრიუმფით შევიდა ქალაქში; სანამ დედაქალაქში შევიდოდა, მან მოითხოვა, რომ ქალაქში შეებრძანებინათ სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, თავად წმიდა ლუკას მიერ დაწერილი. შემდეგ იგი გაემართა წმიდა სოფიას ტაძრისკენ, სადაც მას ელოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი არსენი, რომელმაც მას თავზე ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინი დაადგა. ასე იქცა მიხეილ VIII ბიზანტიელ ბასილევსად (მისი სიკვდილის მერე იმპერატორის ტახტზე ავიდა მისი ძე ანდრონიკე II პალეოლოგოსი). ძირითადი მიზანი მიღწეული გახლდათ: ნიკეამ ისევ მოიპოვა ბიზანტიის საიმპერიო გვირგვინი. ასე აღდგა ბიზანტიური ძალაუფლება. ახლად დაპყრობილ დედაქალაქში იმპერატორის, მისი ამალის, პატრიარქისა და მთელი ადმინისტრაციის ტრიუმფით შესვლას ბუნებრივად მოჰყვა იმპერიის ინტერესების გაძლიერება და საუნივერსიტეტო საქმიანობის გამოღვიძება და აღდგენა, რაც, პრაქტიკულად, ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა. იმპერიის საუნივერსიტეტო საქმიანობის მხურვალე მხარდამჭერი (მის დაცემამდე, 1435 წ-მდე) გახლდათ ეკლესია, რომელიც კარგი ორგანიზებულობითა და სტაბილურობით გამოირჩეოდა. ბიზანტიის იმპერიის განვითარებაში კონსტანტინოპოლის დაპყრობას რაიმე რადიკალური ცვლილება არ გამოუწვევია. ანტიკური ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ დაიკარგა, როგორც მცირე აზიაში, ასევე ბალკანეთში; მას რამდენიმე რეგიონი ჩამოსცილდა, რომელიც საკუთარ ცხოვრებას დამოუკიდებლად წარმართავდა (ეპირუსი, თესალია), ზოგიერთი ჯერ კიდევ ფრანკების ბატონობის ქვეშ იყო (ატიკა, ბეოზია, კუნძულების ნაწილი), რის გამოც კონსტანტინოპოლი, – დიდი კულტურული და სავაჭრო მნიშვნელობის ურბანული ცენტრი, – მხოლოდ საიმპერიო დედაქალაქის ფუნქციით, უსაშველოდ „მძიმე და დიდ თავს“ წარმოადგენდა მისუსტებული, ტერიტორიულად ძალზე შემცირებული სახელმწიფოსთვის.

თავდასხმები, ძარცვა-გლეჯა, აოხრება – ყველაფერი წარსულში დარჩა. არისტოკრატია საერო ცხოვრებას უძღვებოდა, ვენეციელები და გენუელები – ვაჭრობასა და ფინანსებს; გავრცელებულმა ჭირმა დიდი მსხვერპლი მოიტანა და მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის რიცხვი. და ბოლოს, ისედაც მცირე რესურსები მთლიანად შთანთქა ტერიტორიის დასაცავად დაქირავებული ჯარისკაცების ხელფასმა. 1261 წლის შემდეგ, დაპყრობიდან რამდენიმე ათწლეულში, კონსტანტინოპოლი იბრუნებს ინტელექტუალური ცენტრის სტატუსს: ბერძენი ლიტერატორები არასდროს ყოფილან ისე მრავალრიცხოვანნი, როგორც იმპერიის უკანასკნელი დინასტიის ეპოქაში, ანუ პალეოლოგოსების დროს (1261-1453წწ.). საზოგადოების მაღალი წრიდან გამოსული ადამიანები ხშირად სახელმწიფოსა და ეკლესიის სამსახურში დგებოდნენ. არისტოკრატია გატაცებული იყო ლიტერატურით და პატრონაჟს უწევდა ხელოვნების ნაწარმოებებს. იქმნება და ვითარდება ლიტერატურა იმ პოპულარულ ენაზე, რომელიც თანამედროვე ბერძნულ ენას საფუძვლად დაედო, და რომელზედაც დღეს საუბრობენ საბერძნეთში. იმპერიის არსებობის ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიზანტიურ ხელოვნებაში საგულისხმო წინსვლა ჩანს, რისი საუკეთესო გამოხატულებაც გახლავთ ხორეში მაცხოვრის ტაძრის (ამჟამინდელი Kariye Chami – სტამბულის მეჩეთი) მოზაიკა და ფრესკები, რომელიც მე-14 საუკუნეს მიეკუთვნება, ასევე, პელოპონესში მისტრას ეკლესიის მე-14 და მე-15 საუკუნეთა ფრესკები. მაგრამ ეს ინოვაციები არსებობენ ყველაზე ტრადიციონალისტური მიმდინარეობების გვერდით, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ათონის მთის მონასტრებში და რასაც ბერი დენის დე ფურნა (Denis de Furna) მე-18 საუკუნეს მიაწერს.

ამასთანავე, ბიზანტიური ხელოვნების საზღვრები მხოლოდ ბიზანტიელი მთავრების მიერ კონტროლირებად ტერიტორიამდე არ უნდა გავავლოთ. რელიგიის სამსახურში მდგომი ხელოვნების ზეგავლენა ყველგან შეიგრძნობა, სადაც კი მართლმადიდებლობაა ფეხმოკიდებული: თეოფანე ბერძენი, მე-15 საუკუნის მიწურულს, მოხატავს ნოვგოროდის ფერიცვალების ეკლესიას; სერბული მონასტრებიც ადასტურებენ ადგილობრივ მხატვრებზე ბიზანტიურ ზეგავლენას. ბიზანტიურმა კულტურამ, რომელიც 1453 წლამდე წარმატებით ვითარდებოდა, თავისი გამოხატულება პოვა ორთოდოქსულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. იგი ცხოველმყოფელობას ოტომანთა ოკუპაციის წლებშიც ინარჩუნებს და თავისი ზეგავლენის ქვეშ აქცევს აღმოსავლეთ ევროპის დიდ ნაწილს. ანტიკურმა ელინურმა კულტურამ, მისმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა ზეგავლენა დასავლეთზეც მოახდინა.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ოჯახი და მორალური ღირებულებები

ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე მეტი სიხარული არ არსებობს. მას შემდეგ, რაც ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინება დაწესდა, თითოეული ადამიანი მიისწრაფის, ოჯახის შექმნისას, ცხოვრების ღირსეული თანამგზავრი შეარჩიოს და ჰქონდეს მტკიცე, ჯანსაღი, ზნეობრივი ოჯახი. ამისთვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია, ადამიანში სულიერი სათნოებისა და დადებითი თვისებების ძიება. შთამომავლობას, უპირველესად, სულიერი ღირებულებები და ჯანსაღი რწმენა უნდა გადავცეთ. ყოველივე დანარჩენი კი – ფული, ძვირფასი ნივთები, სოციალური მდგომარეობა – წარმავალია.

ქრისტიანული ოჯახისთვის ქორწინება არა მარტო ცოლისა და ქმრის ხორციელი შეერთებაა, არამედ მათი სულების შინაგანი გამთლიანება.

სწორედ ოჯახსა და მის მორალურ ღირებულებებზე გადავწყვიტეთ გასაუბრება ფსიქოლოგ ბატონ **მამუკა გელაშვილთან.**

ოჯახი – როგორია თქვენი შეხედულება მასზე და რა როლს ასრულებს იგი საზოგადოებაში?

სოციალურ-ფილოსოფიური კუთხით, ოჯახი სახელმწიფოს აგურია; ამ ფრაზას ხშირად იმეორებენ, მაგრამ საეჭვოა, აქვთ თუ არა გაცნობიერებული ის, რაც მასში იგულისხმება. ოჯახში არსებული ტრადიციული ურთიერთობები აყალიბებს მომავალი თაობის ფსიქიკას და, შესაბამისად, განსაზღვრავს საზოგადოების ცნობიერებას.

თვლით თუ არა ოჯახს საზოგადოებრივი მოწყობის მინიატურულ მოდელად?

დიახ, და დავამატებდი, რომ ოჯახი არის საზოგადოების მოწყობის არა მხოლოდ მინიატურული, არამედ გიგანტური მოდელი; ევოლუციურად ზრდა მიმდინარეობს მარტივიდან რთულისკენ და ისტორიის მანძილზე საზოგადოებაც ვითარდება და იხვეწება. ოჯახი პირველადია, ვიდრე დღეს არსებული რთული საზოგადოებრივი სტრუქტურა, მაგრამ მაინც მისი ანარეკლი და გამოძახილია.

ცალკეული წევრების რა ინდივიდუალური თვისებები აყალიბებს ოჯახის საერთო ღირებულებებს?

საერთოდ, ადამიანის ინდივიდუალური თვისებები მეორე პიროვნებასთან, ან სოციუმთან შეხებაში მჟღავნდება. დამოუკიდებლად საუბარი ინდივიდის თვისებებზე, ურთიერთობის დინამიკის გარეშე, გაუმართლებელია. მით უფრო, როცა საუბარი ქალსა და მამაკაცს შეეხება. აღმოსავლური სიბრძნით, ქალი და მამაკაცი ფრინველის ორი ფრთაა, ცალი ფრთით იგი ვერ იფრენს.

ოჯახის წარმოქმნის უპირველესი საფუძველი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის დაკანონება და ადამიანთა მოდგმის გაგრძელებაა, სადაც წყვილის გენდერულ შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ეს ზეგავლენას ახდენს ოჯახის სტრუქტურულ ჩამოყალიბებაზე. შეგუებისა და საერთო ღირებულებების გამომუშავების პროცესი ოჯახში მუდმივად მიმდინარეობს, განსაკუთრებით ძლიერი კი იგი თანაცხოვრების დასაწყისშია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არც შემდეგ არის უმტკივნეულო, მაგრამ თუ ოჯახი შედგა და შენარჩუნდა, ჩავთვალოთ, რომ საერთო ღირებულებები გამომუშავდა.

დღეს, როცა მიგრაცია ხანგრძლივი დროითა და დიდი მანძილით აშორებს ერთმანეთს ოჯახის წევრებს, როგორია რისკის თქვენეული შეფასება?...

თუ ოჯახის წევრების მიერ, თანაცხოვრების პერიოდში, მორალური ღირებულებები აღქმული და გაგებული იქნება საკუთარი სურვილით, საფრთხე ფიზიკურად ნულის ტოლია, და თუ პირიქით, საფუძველი მყიფეა და იგი ერთის მიერ მეორე პიროვნების დომინირებით შედგა, ჩავთვალოთ, რომ ხშირ შემთხვევაში პასიური, მორჩილი მეუღლე, დამოუკიდებლობის მიღწევისას, აუცილებლად გააპროტესტებს ცნობიერის უსიამოვნო დანალექს. გაჩნდება ბზარი, რასაც დრო და გარემოებები უფრო გააღრმავებს.

შვილები, როგორც ურთიერთობის საუკეთესო დუღაბი, – რამდენად ეთანხმებით ამ შეხედულებას?

უამრავი წყვილი, რომელთაც ერთი კი არა, რამდენიმე შვილიც კი ჰყავთ, ხშირად სცილდება ერთმანეთს, რადგან მათი ყოლა ალტერნატიული ღირებულებაა და არა შეკავშირების აუცილებელი და ერთადერთი პირობა.

რომელია თანდაყოლილ თუ შეძენილ ღირებულებათა გადაცემის საუკეთესო გზა?...

ღირებულებები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ რეალობას და პირადი მაგალითით მათი გადაცემა საუკეთესო გზაა. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ღირსებას ინარჩუნებ, ხარ თავდაჯერებული და სოციალურად ძლიერი, ძნელი არ არის ჭეშმარიტი ღირებულებების დანახვა. ღირებულებები კი მრავალგვარია, ყოველი ოჯახი დამოუკიდებლად, ალტერნატიული გზით ირჩევს პრიორიტეტებს და ყველაფერ ამას სოციალურ იერარქიაში ადგილის დასამკვიდრებლად აკეთებს. დიდად სასურველი იქნება, ადამიანებმა შეძლონ ნამდვილი ღირებულებების დანახვა და შთამომავლობისთვის აპრობირებული და გამართლებული მეთოდებით მათი გადაცემა.

ნინო ჟღენტი

ქართული კათოლიკური მონასტრის ფასდაუდებელი ღვაწლი

კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქართული კათოლიკური მონასტერი (რომელიც XIX საუკუნეში აიგო ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში და რომლის აგებაზეც ნებართვა სწორედ იმ სულთან აბდულ აზიზმა გასცა, რომლის სახელსაც უკავშირდება იმავე პერიოდში, ჯერ კიდევ ოსმალეთის მფლობელობაში მყოფ ბათუმში მეჩეთისა და წმ. ნიკოლოზის ბერძნული მართლმადიდებლური ტაძრის აგება), გარდა თავისი პირდაპირი ფუნქციისა, რაც ღვთისმსახურებაში გამოიხატებოდა, უდიდეს ეროვნულ საგანმანათლებლო და კულტურულ როლს თამაშობდა. ამ მონასტრის კედლებში აღიზარდა მრავალი გამოჩენილი ქართველი კათოლიკე საზოგადო მოღვაწე; ეს მონასტერი წარმოადგენდა ხიდს სამშობლოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს შორის. ოსმალეთის იმპერიის ცენტრში მოქმედი ქართული კათოლიკური სავანე იმ პერიოდში ეროვნული კულტურის ერთადერთ კერას წარმოადგენდა, სადაც თავისუფლად, გარეშე ძალების კონტროლისა და ზეწოლის გარეშე, ვითარდებოდა ქართული აზრი. ამ სავანეში არსებულ სტამბაში მრავალი ქართული წიგნი გამოიცა და არა მხოლოდ სასულიერო დანიშნულებისა. მისი უმდიდრესი არქივი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეისათვის სათანადო პირობების არქონის გამო, შედარებით მიუწვდომელია მეცნიერთა ფართო წრისათვის, ეროვნული ისტორიის კვლევისათვის უმდიდრეს მასალას შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია და შემდგომ თურქეთის რესპუბლიკა რუსეთის იმპერიისა და მისი მემკვიდრის, საბჭოთა კავშირისადმი კეთილი განწყობებით არ გამოირჩეოდა, სტამბოლის ცენტრში მდებარე ქართული კათოლიკური მონასტერი, მისი აქტიურად მოქმედების მთელ მანძილზე, რჩებოდა უცხოეთში მყოფ ქართველთა სულიერ ნავსაყუდელად და იმედად. ეს სავანე, უპირველესად, იყო ზოგადქართული სულიერების კერა და, მიუხედავად კონფესიური თუ პოლიტიკური მრწამსისა, მის კედლებში პოულობდნენ თავშესაფარსა და დახმარებას ქართველი კათოლიკეებიც, მართლმადიდებლებიც და მუსლიმებიც, სოციალ-დემოკრატებიც, ფედერალისტებიც, ეროვნულ-დემოკრატებიც და, უბრალოდ, სამშობლოს კეთილდღეობაზე მეოცნებე რიგითი ადამიანებიც.

1918 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დემოკრატიული საქართველოს მაშინდელი მთავრობა, რომელიც სოციალ-დემოკრატებისგან იყო დაკომპლექტებული, ხოლო ეს პარტია კი სრულიადაც არ გამოირჩეოდა რელიგიაზე ზრუნვით, ეკლესიების მხარდაჭერითა და მორწმუნეებისადმი სიმპათიით, თავის უმთავრეს მოკავშირედ და დამხმარედ საქართველო-ევროპის ურთიერთობების ფორმირებაში, სწორედ ქართველ კათოლიკეებსა და სტამბოლის კათოლიკურ სავანეს მიიჩნევდა. სხვადასხვა არქივებში დაცულია მრავალი დოკუმენტური მასალა, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და სტამბოლის სავანის მესვეურთა საქმიანი მიმოწერაა შემონახული. ამ დოკუმენტების შესწავლა და გამოქვეყნება დიდ წვლილს შეიტანს იმ მნიშვნელოვანი როლის კვლევაში, რასაც ასრულებდა კათოლიკური ეკლესია საქართველოსა და ევროპის დაახლოების საქმეში.

1921 წელს, ბოლშევიკთა აგრესიის შემდგომ, საქართველოდან იძულებით იმიგრირებულმა ეროვნულმა მთავრობამ, პარიზში გადასვლამდე, სწორედ სტამბოლის კათოლიკურ სავანეს შეაფარა თავი, აქ იყო დავანებული ქართული ეროვნული საგანძურიც, რომელიც, II მსოფლიო ომის შემდგომ, დიდმა მამულიშვილმა და წმინდანად შერაცხულმა ექვთიმე თაყაიშვილმა დაუბრუნა ქართველ ერს.

საფრანგეთში ემიგრირებული ქართველი მამულიშვილებიც, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეს მიმართავდნენ თანადგომისათვის. უცხოეთში მოქმედი ერთადერთი ქართული სავანე ბევრად მეტ სიკეთეს შესძენდა ბოლშევიკური რეჟიმის მარწუხებში მოქცეულ სამშობლოს, მაგრამ საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა და ქართველმა კარიერისტმა ფუნქციონერებმა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იმგვარი დესტრუქციული პოლიტიკა გაატარეს ეროვნულ და რელიგიურ სფეროში, რომ სტამბოლის სავანის აქტიური ფუნქციონირება შეწყვიტეს და ქართველ სასულიერი პირებს სამშობლოსთან ყოველგვარი კავშირი გააწყვეტინეს.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ქართული კათოლიკური სავანის როლზე მასალები ქვეყნდებოდა მხოლოდ ერთეული ისტორიკოსების თავდადების ფასად. ამ მწირი პუბლიკაციების მიუხედავად, ახალგაზრდა ქართველ თაობას მაინც ექმნებოდა წარმოდგენა ზოგადად ქართველ კათოლიკეთა, კონკრეტულად კი სტამბოლის სავანეში მოღვაწე სასულიერო პირთა როლზე ქართული კულტურის განვითარებაში. ნამდვილად სასარგებლო და საინტერესო იქნება, თუ სრულად გამოიცემა მასალები სტამბოლის ქართული სავანის მოღვაწეობის შესახებ, ამ წერილში კი ერთი ფაქტი გვსურს გავაცნოთ ჩვენს მკითხველს.

მიმდინარე წლის 16 მაისს, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად რესტავრირებულ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში შედგა ცნობილი ქართველი მეცნიერის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის მიერ ნათარგმნი შუმერული ეპოსის „გილგამეშის“ პრეზენტაცია.

„გილგამეშის ეპოსი“ უძველეს ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს. მ. წერეთლის მიერ 1924 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სტამბაში გამოცემული „გილგამეშიანი“ კი ერთ-ერთი პირველი თარგმანია ამ წიგნისა. ქართული არის მეოთხე ენა – გერმანულის, ინგლისურისა და ფრანგულის შემდეგ, რომელზედაც ითარგმნა ეს ეპოსი. რუსებმა, რომლებიც ყველა კლასიკურ ნაწარმოებს თარგმნიდნენ მშობლიურ ენაზე, „გილგამეში“ საკმაოდ მოგვიანებით თარგმნეს.



მიხეილ წერეთელი (1878-1965წწ.) საქართველოში ასიროლოგიისა და სოციოლოგიის ფუძემდებელია. მართალია, მან თავისი მოღვაწეობა პოლიტიკით დაიწყო, მაგრამ, ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, დროებით ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და სამეცნიერო საქმიანობაში ჩაება. 1920 წელს, ლონდონში მოღვაწე მ. წერეთელი ივ. ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში მოიწვია ასიროლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელად. მაგრამ 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, იძულებული შეიქმნა, სამშობლო დაეტოვებინა.

1921 წლიდან მიხეილ წერეთელი ასიროლოგიისა და ქართული ენის კათედრის გამგეა ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ამ წლებში იგი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. სწორედ ამ პერიოდში თარგმნა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული „გილგამეშის ეპოსის“ აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ასურული (აქადური) ვერსია.

1924 წელს, თარგმანის დასრულებისთანავე, მ. წერეთელი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში გამოსცემს „გილგამეშიანს“ და ასევე მონოგრაფიას „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. ამ მონოგრაფიის გამოცემის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ნაშრომს არაერთგზის იმოწმებს ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“.

შემთხვევითი არ არის, რომ მ. წერეთელმა ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბას მიმართა ქართული კულტურის განვითარებისათვის ესოდენ ფასეული ტექსტების გამოსაცემად. ცხადია, მას, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტს, საბჭოთა საქართველოში არაფერს გამოუცემდნენ. დანარჩენ სამყაროში კი საქართველოს ყველაზე დიდ გულშემატკივარს, და ალბათ ერთადერთსაც, მხოლოდ საქართველოს სიყვარულის გამო, XIX საუკუნეში სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი კათოლიკე ქართველების მიერ დაფუძნებული სტამბოლის სულიერი სავანე წარმოადგენდა. იმ ხანად ყველა მამულიშვილისათვის ეს სავანე რჩებოდა ეროვნული სულიერების ბურჯად. ამიტომაც მიმართავდნენ მას მხარდაჭერის იმედით ბედის უკუღმართობით სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები და სწორედ ამიტომაც დაუპირისპირდნენ მას საქართველოს მტრები.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანემ დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის ისტორიაში, მისი როლის უფრო საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი თანამედროვე მკვლევრების ამოცანაა, და საქართველოში პირველად, 2012 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული მიხაკო წერეთლის მიერ ნათარგმნი „გილგამეშიანი“ კიდევ ერთი დასტურია ქართველ კათოლიკეთა სავანის ღვაწლისა. ვფიქრობთ, ამ სავანის აღდგენა და სრული შესაძლებლობებით ამოქმედება ჩვენი სახელმწიფოს ყველა სფეროს, მთელი თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ვალია.

ნუგზარ ბარდაველიძე

სიქსტეს მაღონა და რუსული კულტურა

(დასასრული, დასაწყისი: „საბა“ 2011, №9-11; 2012, №3-5)

„უკანმოუხედავად გავირბინე დარბაზები, პირდაპირ იმ სანუკვარ ოთახს მივადექი... მღელვარებისაგან ძლივს მივაპყრობ თვალებს. პირველი შთაბეჭდილება ის იყო, რომ მე სხვაგან მოვხვდი და რომ ჩემს წინ ის არაა. მაგრამ სულ მალე ვცნობ და ვრწმუნდები, რომ ისაა, და მაინც, სინამდვილეში, ის არაა, ან მე აღარ ვარ ის, ვინც ვიყავი. სამწუხაროა! აღარ მომაწვა გულზე მხიარულ ტალღად მხურვალე სისხლი, აღარ აძგერდა, მშვიდად დარჩა. ნუთუ ასე გაცივდა ის მთელი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე? მაგრამ არა, ასე არაა: ჩემი შეხვედრა არ შედგა, აქ მე ვერ შევხვდი იმას, რასაც ველოდი. რა საჭიროა დამალვა და მზაკვრობა: მე ვერ ვიხილე ღვთისმშობელი. აქ – სილამაზეა, მხოლოდ საოცარი ადამიანური მშვენიერება, თავისი რელიგიური ამბივალენტურობით, მაგრამ... არა წყალობა. ნუთუ მის წინაშე უნდა ვილოცო? ეს ხომ მკრეხელობაა, შეუძლებელია! განსაკუთრებით ეს ანგელოზები მაღიზიანებენ და სახეშეფერილი ბარბარა, მეტისმეტად დათაფლული, კეკლუცი ღიმილით... მახსოვს, რომ ადრეც ყოველთვის მაწუხებდა ეს, მაგრამ როგორღაც შედარებით ადვილად ვუმკლავდებოდი მათ. ახლა კი მას აღვიქვამდი აშკარა უწესობად, ურწმუნოებად და რაღაცნაირ მკრეხელურ ფამილიარობად: ნუთუ შესაძლებელია, მას მერე, რაც ღვთისმშობელს იხილავ, ისეთი ელფერი მისცე, თითქოს მასხრად იგდებდე საკუთარ სალოცავს? შესაძლებელია, არ დაიცვა მკაცრად ხატწერის წესები? მაგრამ ახლაც რაღაცნაირად გადავაბიჯე ამას და დედისა და ყრმის სახეზე გადავიტანე მზერა. შთაგონების გარეშე, ამაოებით გამოწვეული მწვავე ტკივილით გულში, მაინც მინდოდა მეჭვრიტა მისთვის; პირველი შეხედვისთანავე, უკვე ცხადი გახდა ჩემთვის – სამწუხაროდ! – უეჭველად: ეს არაა ღვთისმშობლის სახე, უწმინდესი მარადქალწულისა, ეს არაა მისი ხატი. ეს სურათია – ზეადამიანური გენიალობის გამომხატველი, მაგრამ ხატისგან სრულიად განსხვავებული თავისი აზრითა და შინაარსით. აქ გამოვლინებაა უმშვენიერესი ქალურობისა, და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღება, უდიდესი ოსტატობით გადმოცემული, მაგრამ „ადამიანური, ზედმეტად ადამიანური“ ჩანს იგი. მოდის მტკიცე, ადამიანური ნაბიჯებით სქელ, მძიმე ღრუბლებზე, ისე, თითქოს მდნარ თოვლზე დადიოდეს, ახალგაზრდა დედა, ბრძენი ყრმით. შეიძლება, ის არცაა ქალწული, არამედ უბრალოდ უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალი, სილამაზისა და სიბრძნის მთელი ხიბლით. აქ არ ჩანს ქალწულობა და, მით უფრო, მარადქალწულობა, პირიქით, მეფობს მისი უარყოფა – ქალურობა და ქალი, სქესი. მარადქალწულობა ხომ ქალურობისგანაც თავისუფალია, ვინაიდან იგი სქესზე მაღლა დგას, მის ხიბლს არაა დამონებული“.

ამ ერთობ მძიმე შეფასებით, რაც დღესაც გარკვეულ გავლენას ახდენს მრავალ აღმოსავლელ ქრისტიანზე, ბულგაკოვი, რომელიც სწორედ *სიქსტეს მადონას* წყალობით გახდა მორწმუნე, საბოლოოდ ჰკარგავს რწმენას, რადგანაც ველარ აცნობიერებს რაფაელის შედევრის საკრალურ მნიშვნელობას. მისთვის ეს აღარ არის „ხატი“, მაგრამ ასე სულაც არ იყო დიდი ხნის წინ. მაშ, რა ვიფიქროთ? აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც ბულგაკოვმა იგი პირველად იხილა, მისი შინაგანი სამყარო ქვეცნობიერად მზად იყო იმ „წყალობის“ მისაღებად, რაც მას შედეგრმა მოუტანა, რათა მოქცეულიყო, ეწამა; ეს მისი ბედისწერა იყო; ხოლო მეორედ, უკვე აღარ საჭიროებდა ამგვარ წყალობას და ამიტომაც ნაკლებ მღელვარებას გვრის სურათი. მრავალ ადამიანს განუცდია იმედგაცრუება, როცა წლების შემდეგ უნახავს წმიდა საგანი, რომელიც უწინდელივით მაგიურ ძალას აღარ ფლობდა: რადგანაც მისი მისია დროთა მანძილზე ამოიწურა. მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ? აღარ უნდა ჩავთვალოთ ის მოწიწების ღირსად? დავუბრუნოთ ყველა მისი რეპროდუქცია დასავლელ ქრისტიანებს, რადგანაც „კანონიკური“ არ არის? პ. ფლორენსკიმ 1922 წელს, როდესაც ერთმანეთს შეადარა აღმოსავლური და დასავლური ხატები, დაინახა რა ბიზანტიურ ხატებში პერსპექტივის უქონლობა, ხოლო სიქსტეს მადონაში აწეული ფარდებით შექმნილი პერსპექტივა, დაწერა, რომ ეს ფარდები *„თითქოს სხვა სამყაროს საბურველია, რომელიც უხმაუროდ იხსნება ჩვენს წინ და ჩვენს თვალწინ გადაშლის არა სცენას, არა ამქვეყნიურ ილუზიას, არამედ სულ სხვა ჭეშმარიტ რეალობას...*“; მიუხედავად ნაწილობრივი პერსპექტივისა, მასში ცხადდება *სიქსტეს მადონას* ხატის არსი. შეიძლება ისიც დავძინოთ, რომ დედისა და ყრმის სხეულის პლასტიკურობა დასავლური რენესანსული ეპოქის ხელოვნების წმიდა ნიმუშად აქცევს მას, ეპოქისა, რომელმაც სხეულს თავისი საკრალურობა დაუბრუნა, რამეთუ იგი, დასაბამიდან სულის ნავსაყუდელი და თავად ღმრთის ხელთაგან ქმნილი, ვერაფერს აკლებს, დასავლური მსოფლმხედველობით, რელიგიურ ღირსებას სურათისა, რომელიც არის და რჩება „სასწაულად“, რის გამოც ჩვენს სულებს, მზად რომ არიან მის მისაღებად, მოუვლენს „წყალობას“ და „სასწაულის“ განცდას. და ბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით რაფაელის აღსარებას ბრამანტესადმი, რომელიც, მართლაც ნამდვილია თუ გამონაგონი, ყოველთვის დარჩება გულწრფელ მოწმობად, რომელიც შეგვახსენებს, თუ რა მისია აკისრია ხელოვნებას მორწმუნეთა და ეკლესიის ცხოვრებაში. ვისურვებდით, რომ ყოველივე ეს დაგვეხმაროს, რათა უფრო მეტად დავაფასოთ ის, რაც უკვე არა მარტო ხალხის კულტურის ნაწილად იქცა, არამედ ქრისტიანების სულიერების ნაწილად, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში.

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

ვნებათა ღელვა მეჩეთის გამო

უკვე რამდენიმე თვეა, არ წყდება ვნებათა ღელვა ბათუმში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების გამო – განადგურებული მეჩეთის აღდგენის თაობაზე. მავანნი ერთმანეთს ეჯიბრებიან თავიანთი ურა-პატრიოტული გამონათქვამების დემონსტრირებით, მაგრამ არ ფიქრობენ, რომ ამით, ხშირ შემთხვევაში, გულს ტკენენ ჩვენს მუსლიმ თანამოქალაქეებს, რომ არაფერი ვთქვათ იმ საერთაშორისო ფაქტორზე, რასაც შეიძლება საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების გაუარესება მოჰყვეს. ამ გაუარესებით კი, პირველ რიგში, საქართველო დაზარალდება, თორემ თურქეთს, ისევე როგორც ისრაელს, ბევრად მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია რუსეთთან დაახლოებით, მით უმეტეს, თუ ეს საქართველოსთან გაციებული ურთიერთობის ხარჯზე მოხდება. ანალოგიური ვითარება შეიქმნა დავით-გარეჯის კომპლექსში შემავალი ბერთუბნის მონასტრის გარშემო, სადაც ქართველ ბერებსა და მორწმენეებს შესვლას არავინ უკრძალავს. აზერბაიჯანის წინაღმდეგ პრესაში მოწოდებების ნიაღვარი აგორდა, ისევე როგორც გასული წლის ზაფხულში მიზანში სომხეთი იქნა ამოღებული. რატომღაც არავის ახსენდება, რომ უცხოეთის საელჩოები თავიანთი ქვეყნის შესახებ გამოთქმული განცხადებების შეგროვებითაც არიან დაკავებული და როგორც ჩვენ ვღიზიანდებით საქართველოს შესახებ გამოთქმული არაკორექტული გამონათქვამებით, ისევე რეაგირებენ უცხოეთში მათი მისამართით გამოთქმულ ყოველ ფრაზაზე. საქართველოსა და მის მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დაძაბვით კი მხოლოდ ჩვენს მოწინააღმდეგეს ვაძლევთ ხელს. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და პარტნიორობის დამყარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, ამ ვითარების გაფუჭება კი საკმაოდ ადვილად მისაღწევი. დავფიქრდეთ, ვის წისქვლზე ვასხამთ წყალს, როდესაც, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი დაუდევრობით წარმოქმნილ პრობლემათა გამო, სახელმწიფოებს არაკორექტული ეპითეტებით ვამკობთ მედია საშუალებებში.

აქ მომყავს მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იმ მრავალი ქსენოფობიური გამოხმაურებებიდან, ბოლო ხანებში რომ ქვეყნდება სხვადასხვა გამოცემებში:

„თავისუფლების მოედანზე აგებული მუსლიმანური სალოცავის დანახვა ბათუმის ნავსადგურთან მიახლოებული ყველა გემისთვის იქნება შესაძლებელი. დღეს მოქმედი ჯამეს მინარეთიც სანაპიროდან კარგად ჩანს. იგივე ხომალდის მგზავრები კი, ვერც ერთ ეკლესიას ვერ დაინახავენ, რადგან ბათუმში მოქმედი ყველა ტაძარი ზღვიდან შეუმჩნეველია. ქრისტიანთა გრძნობებზე ეს ფაქტიც გარკვეულ გავლენას ახდენს“.

სხვათა შორის, ბათუმის აკვატორიაში შემოსული ყველა გემიდან შესანიშნავად მოჩანს სამი ქრისტიანული ტაძარი: ერთი – ზუბალაშვილების მიერ XX საუკუნის დასაწყისში აგებული და ამავე საუკუნის დასასრულისათვის მართლმადიდებლებისათვის გადაცემული; მეორე – 2000 წელს აგებული კათოლიკური ტაძარი და მესამე – ბათუმში ყველაზე მაღალ ადგილზე, ფერიეს მთაზე აგებული ტაძარი. ზემოთ მოყვანილი ციტატა მკითხველის ხელოვნურად დაძაბვის აშკარა მცდელობაა, თორემ, სარფიდან მოყოლებული, ჩოლოქით დამთავრებული, ბოლო 20 წლის განმავლობაში მრავალი ტაძარი აიგო და ყოველ მთაზე ჯვარი აღიმართა. საზღვარს მოახლოებული ავტოტურისტი საზღვრის გადმოკვეთამდე ამჩნევს საქართველოს ქრისტიანულ სიმბოლოებს. ხოლო თუ მხოლოდ ხომალდის მგზავრებზეა ზრუნვა, რაღაც მეეჭვება, ჩვენს დროში ბათუმს ხომალდით სტუმრობდნენ. შეიძლება, მავანთ ბათუმში კათოლიკური არქიტექტურის მქონე ტაძრების ხილვას, ალბათ, ერჩიათ რუსულ არქიტექტურულ სტილში აგებული ტაძრების ხილვა, მაგრამ ეს უბრალოდ გემოვნების საქმეა და ამის გამო ნამდვილად არ ღირს აჟიოტაჟის ატეხა.

როგორც ჩანს, აქ ის პრობლემა როდი აწუხებთ, ბათუმში ერთი მეჩეთი იქნება თუ ორი, ან ოშკი გადარჩება თუ არა, უბრალოდ, პოლიტიკოსთა ნაწილი თავისი დივიდენდების მოგროვებას უარყოფითი ემოციების გაღვივებით ცდილობს და ხელისუფლების თვალში ბეწვის ძიებით არის დაკავებული. ზოგი კი გასულ წელს პარლამენტის მიერ საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად მიღებულ რელიგიის კანონს, ან ოშკის აღდგენის სანაცვლოდ, მუსლიმთათვის სამლოცველოს აგების მცდელობას, მართლმადიდებელი ეკლესიის ძალაუფლების შეზღუდვის გამოხატულებად აღიქვამს და ცდილობს, წინ აღუდგეს სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებას.

უკანასკნელ წლებში, თურქეთში არაერთგზის მოგზაურობის დროს, ყოველთვის ვსტუმრობ ქრისტიანულ ტაძრებს და საინტერესო კანონზომიერება აღმოვაჩინე: თითქმის ყველა ქრისტიანული ტაძარი XIX საუკუნის 60-იან წლებშია აგებული. ამ დროს ოსმალეთის სულთანი აბდულ აზიზი (წმინდა) მეფობდა. მათ შორის, ბათუმში, ახლანდელ პიაცას გვერდით, ბიზანტიური სტილის მომხიბლავი წმ. ნიკოლოზის ტაძარიც სულთან აბდულ-აზიზის დროს არის აგებული.

რაც შეეხაბა იმ განცხადებას, რომ „მეჩეთის აგების წინააღმდეგები არა ვართ, მაგრამ დამპყრობელი აზიზიეს სახელობის მეჩეთის აგება არ გვსურსო“, ვინ-ვინ და სულთანი აზიზი არც დამპყრობელი იყო და არც ვინმეს მდევნელი. პირიქით, იგი იყო ევროპასთან დაახლოების მომხრე, პირველი სულთანი, ვინც სტუმრობდა ევროპის ქვეყნებს და რეფორმების გატარების მოსურნეც გახლდათ. უბრალოდ, ავადმყოფობისა და აღმოსავლეთისათვის უცხო ლიბერალიზმის გამო, მან ვერ განახორციელა რეფორმები და, კონსერვატორი პოლიტიკოსების წყალობით, მმართველობასაც იქნა ჩამოშორებული.

რაც შეეხება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმებას, ნაცვალგების საფუძველზე აღადგინონ ისტორიული ძეგლები, ეს დოკუმენტი ამ ორი ქვეყნის თანასწორ და კეთილ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. თურქეთის პოზიცია, ნაცვალგებით მოახდინოს ისტორიული ძეგლების აღდგენა, უპირველესად მეტყველებს მის კეთილგანწყობაზე საქართველოს მიმართ. დამერწმუნეთ, საბერძნეთს, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს რომ შეეთავაზებინა ანალოგიური წინადადება თურქეთისთვის, კატეგორიულ უარს მიიღებდა. და კიდევ ერთი, როდესაც თურქეთის მიერ მესხეთის დაპყრობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ოკუპაცია მესხეთის ათაბაგების სეპარატისტული მისწრაფებებისა და ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ოსმალეთთან პოლიტიკური დაახლოების სავალალო შედეგი იყო. ამიტომ წარსულში ჩარჩენა, ყველაფრის სხვაზე გადაბრალება, უფრო ინფანტილიზმის ნიშანია და არა ჯანსაღი და რეალურ პოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკა. რეალობა კი ასეთია, დღეს უკვე საქართველოს მრავალი სკოლიდან მოსწავლეები ტაო-კლარჯეთს სტუმრობენ სამდღიანი ექსკურსიებით, და იქაურ მოსახლეობას გაუჩნდა მოტივაცია, მოუარონ ისტორიულად ქართულ ძეგლებს. რაც შეხება მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, იგი მხოლოდ პარტნიორობასა და თანაბარ პირობებში მაქსიმალურად პოზიტიური შედეგების მიღებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ნუგზარ ბარდაველიძე

ძველი ღმერთი

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ № 11-12. 2011, № 1-5. 2012)

ნაპოლეონ მე-3 თვითონ იყო წევრი იტალიელთა ფარული ამხანაგობისა; ნამდვილად იცოდა, რომ რეთელის ნათქვამი მართალი იყო; მაგრამ ისე იქცეოდა თითქოს არაფერი არ იცოდა! მე არ შემიძლია თქვენ დაგიჯეროთ, ნუთუ ჩვენს ჯარს შეუძლია მუდმივად დაიცვას მღვდელმთავარი? ფრანგების რომში ყოფნა, სხვა სახელმწიფოთა შურს გამოიწვევს! არა, ეს საქმე უნდა დამთავრდეს, ხოლო მღვდელმთავრის მსახურების სიწმინდეს, მის ღირსებას, დაიცავენ ისევე, როგორც ამას აკეთებენ ჩვენი ჯარები – სთქვა ნაპოლეონ მე-3.

მომიტევეთ კეისარო, მაგრამ სარწმუნოების მტრებმა არასოდეს იციან მღვდელმთავრული მსახურების სიწმინდე. როგორც კი ჯარებს რომიდან გამოიყვანთ, მღვდელმთავარი ტყვე გახდება, შეიძლება მოკლან კიდეც და თქვენი დიდებულება თავის თავს, თავის სახელოსნოებს და მთელ საფრანგეთს დაქცევის განსაცდელში ჩააგდებს!

თქვენი ნათქვამი საკვირველია! მღვდელმთავრული მფლობელობის ბედს, რა დამოკიდებულება აქვს საფრანგეთთან და ჩემს სახელოსნოებთან? – იკითხა ნაპოლეონ მე-3.

მეტად მტკიცე დამოკიდებულება აქვს, უპასუხა რეთელმა. დიდად სახელოვან

ბიძათქვენს მღვდელმთავარი, რომ არ დაეტყვევებინა და ეკლესია არ შეეწუხებინა ექსორიაში არ მოკვდებოდა!

საყვარელო ჩემო რეთელ! თქვენი აზრები დღეს მე ვერ გამიგია. ხომ არ გგონიათ, რომ ევროპელი მეფეები ბიძაჩემს პატიმარი მღვდელმთავრის გამო დაუპირისპირდნენ?

არა, თვითმპყრობელო ხელმწიფევ! თქვენი სახელგანთქმული ბიძის დამმარცხებელი კაცი კი არ იყო, არამედ ის ყოვლად ძლიერი მკლავი, რომელიც თავის ეკლესიას და მის მომაგიერეს იცავს და იფარავს. შეთქმული ხელმწიფენი ღვთიური რისხვის სამართლის შემსრულებელნი იყვნენ!

კეისარი ჩუმად უყურებდა გრაფს ისეთი სახით, რომ თითქოს ფიქრობდა, რეთელი სრულ ჭკუაზე არ არისო.

დაე ჩემი ნათქვამი თქვენ ურიგოთ მიგაჩნდეთ, წარმოსთქვა გრაფმა, მაგრამ კეისარო მე ჩვენებანი მაქვს. „შემიძლია გავიგონო“.

ეს თქვა გრაფმა და მოუთხრო ფონტენებლოს ციხეში პიო მე-7 და ნაპოლეონ პირველის შესანიშნავი საუბარი. ეტყობოდა, რომ ნაპოლეონ მე-3 დაცინვით ისმენდა მის ამბავს! გრაფმა ეს თავისი სიტყვა დაამთავრა ისე, რომ ღმერთს მღვდელმთავრის შემაწუხებელნი ყოველთვის დაუმარცხებია! ძლიერი და მგრძნობიარე სიტყვებით გაწვრთნა მან ბიძათქვენი, მუდამ თვალწინ უნდა მქონდეს იმ წმინდა მოხუცებულის სახე ხატი.

„ძველი ღმერთი ცოცხალი არისო“ დაიძახა პიო მე-7 კეისრის წინაშე და უნდა ვნახო თქვენც როგორ შეგმუსრავთ ღვთის მკლავი, თქვენი საწყაო უკვე ავსილი არისო.

ასე უწინასწარმეტყველა პიო მე-7 ნაპოლეონ პირველს და ორი წელიც არ იყო გასული, რომ ეს წინასწარმეტყველება ასრულდა!

შენი მოთხრობა ძლიერ საგულისხმოა, მაგრამ მღვდელმთავრის მუქარა შემთხვევის გამო ასრულდა, თქვა ნაპოლეონ მე-3.

შემთხვევით არა თვითმპყრობელო ხელმწიფევ! ყველა საუკუნის მოთხრობები მოწმობენ, რომ ღმერთი, ქვეყანაზე თავის მომაგიერეს იცავს და მფარველობს მას! ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება! განაცხადა რეთელმა.

ვწუხვარ, რომ თქვენს მტკიცე სარწმუნოებას ვერ ვეთანხმები, ჩემო საყვარელო გრაფო!

– ბიძათქვენსაც ფონტენებლოსთან არა სწამდა, მაგრამ წმინდა ელენეს კუნძულზე ირწმუნა! გნებავთ მისი პატიმრობის დროინდელი სიტყვები გაგიმეოროთ?

უკვდავი კეისრის ყოველ ნათქვამზე ჩემი პატივისცემა იცით თქვენ, უპასუხა ნაპოლეონ მე-3.

– დიახ, სახელოვან პატიმარს ბევრჯერ გაუმეორებია ეს სიტყვა: „ნეტავ შემძლებოდა ქვეყნების ყოველ მფლობელთათვის მეთქვა, პატივი ეცით ქრისტეს მომაგიერეს, ნუ შეაწუხებთ მღვდელმთავარს, თორემ შეგმუსრავთ თქვენ პეტრეს ტახტის ღვთიური მცველ მფარველობა!“.

შეიძლება პატიმრობის შეწუხებამ კეისრის გონების სიმახვილე დააუძლურა, – თქვა ნაპოლეონ მე-3.

თქვენი ბიძა საწინააღმდეგოს ამბობდა, რომ უბედურებამ ჩემი გონება და დანახვის უნარი კიდევ უფრო გააძლიერაო, – მიუგო რეთელმა.

მაგრამ მისი მსჯელობის წინააღმდეგ რომ გამოდის საქმის მსვლელობა? უთხრა კეისარმა.

სად რჩება ღვთიური მცველ მფარველობის მრისხველი მკლავი? ჰკითხა რეთელმა.

კეისარმა ამაზე სწორი პასუხი ვერ გასცა და გრაფმა განაგრძო – არა მარტო გონიერი ბიძა თქვენი, არამედ ახალი დროის სხვა ერთი სახელოვანი ხელმწიფე ამბობდა, რომ ეკლესიის და მღვდელმთავრის წინააღმდეგ განხორციელებული ყოველი მტრობა საცდურია მთავრობისათვის. მე პრუსიის სახელოვან მეფეზე ფრიდრიხზე ვამბობ, რომელსაც მრავალნი დიდად ასახელებენ.

მეფე ფრიდრიხი თავის ანდერძში ასე წერს: „თავიანთ ნებაზე დასტოვეთ ეკლესიური იესოსიანები... მოსვენებით დასტოვეთ, მღვდელმთავარს იარაღით ნუ დაემუქრებით, დაანებეთ რომ მშვიდობიანად და წყნარად თავისი სამსახური აღასრულოს, თორემ მწარე დროება თავს დაგატყდებათო“.

პრუსიის მეფის ანდერძი ჩვენ რჯულად არ გამოგვადგება, უპასუხა უცბად ნაპოლეონ მე-3, დავტოვოთ ეს ძიება, მადლობელი ვარ თქვენი კეთილი სურვილებისათვის.

დიდებულო ხელმწიფევ, გაფიცებ თქვენ, რომ კარგად იფიქროთ ამ საქმეზე, რათა მღვდელმთავარი მტრის ხელთ არ გადაეცეს და საფრანგეთი ისევ უბედურებაში არ აოხრდეს! საფრანგეთმა, პეტრეს ტახტის წინააღმდეგ ნამოქმედარი უსამართლობისათვის დიდი რისხვა დაიტეხა თავს, უცხო ტომების შემოსევის შედეგად! ეს ყველაფერი თქვენმა სახელგანთქმულმა ბიძამაც აღიარა! და რადგან ღმერთი უცვლელი არის, იმავე მიზეზებს ერთი და იგივე შედეგები ექნება! ამიტომ საფრანგეთმა არ უნდა დაუშვას, რომ პაპს თავისი სამფლობელო წაართვან, ან მოჰკლან იგი. აქ გრაფი რეთელი გაჩუმდა.

წინააღმდეგ შემთხვევაში რა მოხდება? იკითხა კეისარმა.

წინააღმდეგ შემთხვევაში უცხო ტომები ისევ ააოხრებენ საფრანგეთს და თქვენც ბიძათქვენივით მოგივათ! მძიმედ თქვა მოხუცებულმა რეთელმა.

ჩანს, რომ ქვეყნის მდგომარეობა არ იცით გრაფო რეთელ – უთხრა ცივად კეისარმა, საფრანგეთი ევროპის მბრძანებელი არ არის.

თვითმპყრობელო ხელმწიფევ ნუ დაივიწყებთ, რომ ქვეყნის მდგომარეობა ცვალებადია, მხოლოდ ზეციერი არის ჩვენი ბედის უფალი და მმართველი!

საკმარისია, როგორც ვთქვი, მადლობელი ვარ, განაცხადა კეისარმა.

ოო! დიდებულო ხელმწიფევ! თქვენი წყალობის დაკარგვის განსაცდელით ვიმეორებ ვედრებას: წმინდა მამას თავის მტრებს ნუ გადასცემთ, ძველი ღმერთი ისევ ცოცხალი არის! გაიხსენეთ ბიძათქვენის სიტყვა: ნუ შეაწუხებთ მღვდელმთავარს, თორემ შეგმუსრავთ თქვენ პეტრეს ტახტის ყოვლადძლიერი მცველ მფარველის მრისხანე მკლავი!

კეისარი ფეხზე წამოდგა, უსიამოვნება ეტყობოდა, ამიტომ გრაფი რეთელი გარეთ გამოვიდა.

სულელო მოხუცო, სთქვა მრისხანედ ნაპოლეონ მე-3 თავისთვის, სხვადასხვა გარემოებებმა არ მისცეს საშუალება ბიძაჩემს, რომ განეხორციელებინა შესანიშნავი საქმენი, განა მეც არ უნდა განვახორციელო ისინი?

მღვდელმთავრის გამოფიტული ტახტი განა ჩემს საქმეთა საზიანოდ უნდა დავიცვა და დავიფარო? არასოდეს. დრო წინ მიდის, განვლილ დროებაში ყველასაგან პატივსაცემად შერაცხული საგანიც ობდება, ფუჭდება და მიდის! ვის შეუძლია, რომ მომაკვდავი გაიცოცხლოს!

ცოტა ხანს კიდევ ფიქრობდა, შემდეგ ისევ აიღო კალამი და დაიწყო წერა.

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი
მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის
მიერ ნათარგმნი

(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

2012 წლის მწვანე „ნობელი“

დონ ედუ მულტიმონოპოლიების წინააღმდეგ

The Goldman Environmental Prize

2012 წელს გარემოს დაცვის ნობელის Goldman Prize-ს პრემიაზე წარდგენილი იყო ფილიპინელი კათოლიკე მღვდელი *ედვინ გარიგესი.* ეს პრემია ყოველწლიურად გადაეცემა ეკოლოგიური მოძრაობის აქტივისტებს. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობას იღებენ გარემოს დამცველები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ფილიპინელი მღვდელი უკვე მრავალი წელია იბრძვის *მინდოროს* მიწისქვეშა საბადოების ექსპლუატაციის წინააღმდეგ; *მინდორო* ერთ-ერთია იმ შვიდი ათასი კუნძულიდან, რომლებიც ფილიპინის არქიპელაგს ქმნიან. ჯერ კიდევ ესპანელები უწოდებდნენ მას *Mina de oro*-ს (ოქროს საბადო). ამ კუნძულზე სხვა მინერალებიც აღმოაჩინეს, როგორიცაა ნიკელი, რისი ექსპლუატაციის წინააღმდეგაც ილაშქრებს მამა ედუ, როგორც მას ხალხმა შეარქვა. ყველაფერი 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც ნორვეგიის უმსხვილესმა კომპანია Intex-მა, *მინდოროს* საბადოზე განაცხადა პრეტენზია; საბადო მანგიანებით (*mangyan),* ადგილობრივი მოსახლეობით, დასახლებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ განცხადებამ მაშინვე დიდი რეზონანსი გამოიწვია და არა მხოლოდ აუთვისებელი მიწის გამო: ეს ზონა მდიდარია ასევე წყლებით, ხოლო ნიკელის მოპოვების მეთოდი ითვალისწინებს ქიმიური პრეპარატების დიდი რაოდენობით გამოყენებას. თუმცა ადგილობრივი მთავრობის მიერ ნებართვა საბადოს ამოღების თაობაზე მალევე გაიცა. სწორედ ამასთან დაკავშირებით დაიწყო მამა გარიგესმა თავისი კამპანია – „ალიანსი საბადოს წინააღმდეგ“ (*Alamin* – ინგლისური სიტყვების შემოკლება). „ალიანსმა“ ნელ-ნელა თავის გარშემო შემოიკრიბა და გააერთიანა არა მხოლოდ *მანგიანები,* არამედ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიც: გლეხები, მეთევზეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო პირები და ადგილობრივი პოლიტიკოსები. პირველი შედეგი 2002 წელს მოიმკეს, როდესაც რეგიონის ხელისუფლებამ ამ საქმიანობის 25 წლიანი მორატორიუმის აპრობაცია მოახდინა. თუმცა Intex-მა, რომელსაც მხარს უმაგრებდა ეროვნული მთავრობის ლიცენზია, მუშაობა მაინც გააგრძელა. მაშინ მამა ედუმ „ალიანსი“ უფრო მასშტაბური გახადა და ბრძოლის ახალი სარბიელი ევროპაში გადაიტანა, ნორვეგიელი საზოგადოებისა და პოლიტიკის წარმომადგენელთა შორის, თვით მულტიმონოპოლიის აქციონერებს შორისაც.

2009 წელს „ალიანსმა“ ყველაზე ხმაურიან ინიციატივას მიმართა: მანილაში, გარემოს დაცვის დეპარტამენტის წინ, შიმშილობის აქცია მოაწყო მანგიანების მონაწილეობით. აქცია თერთმეტი დღე მიმდინარეობდა, ვიდრე დეპარტამენტის მხრიდან ნებართვის გაუქმებას არ მიაღწიეს. ამის გამო, ზოგიერთმა დამფინანსებელმა, მათ შორის Goldman Sachs-მა, თავისი მხარდაჭერა გაუუქმა Intex-ს.

დღეს მამა ედუ აღარ ცხოვრობს *მინდოროში*: საეპისკოპოსო კონფერენციამ იგი მანილაში გაიხმო, როგორც მშვიდობისა და სამართლიანობის კომისიისა და სოციალური საქმეების სამდივნოს პასუხისმგებელი პირი. თუმცა მისი ბრძოლა გარემოს დასაცავად ამ მოვალეობების პარალელურად გრძელდება. *„რაც ამ წლებში გავაკეთე, როგორც კათოლიკე მღვდელმა,* – განაცხადა მამა გარიგესმა, – *ჩემი მისიის ნაწილია, მოსახლეობის გაჭირვებული და მარგინალური ნაწილის საკეთილდღეოდ. მთელი არსებით ვიყავი ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა დაცვასა და მათი ცხოვრების პროგრესის საქმეში. „მანგიანებისთვის* ბუნება დედის კალთასავით არის, რომელიც მათ კვებავს და აცოცხლებს.“ ეს ამბავი, გარკვეულწილად, გვახსენებს იტალიელი მამის, ფაუსტო ტენტორიოს ისტორიას, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე მოკლეს *მინდანაოში,* ფილიპინების სულ სხვა კუნძულზე, სწორედ იმის გამო, რომ იგი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა დასაცავად გამოდიოდა. სხვათა შორის, სიკვდილის საფრთხე მამა ედუსაც არაერთხელ დამუქრებია; 2010 წელს კი მუხანათურად მოკლეს რიკარდო განადი, Alamini-ის ლიდერი. გარემოს დაცვის სამსახურში ჩადგომა, გარკვეულწილად, დღეს ამ საფრთხისთვის მზადყოფნასაც ნიშნავს.

პრემია Niwano

პრემია „ნივანო“, რომელსაც ხშირად „რელიგიურ ნობელს“ უწოდებენ, წლევანდელ წელს პირველად გადაეცემა ადგილობრივი ტრადიციული რელიგიის წარმომადგენელს. ეს მოხდება ტოკიოში, 10 მაისს, სადაც შედგება ოფიციალური ცერემონია და პრემიას გადასცემენ გვატემალელ როზალინა ველასკესს, რომელიც მაიას ტომის უძველესი ტრადიციებისა და ადამიანის უფლებათა აქტიური დამცველია. ამ პრემიით მას დაუფასდება ის ამაგი, რაც მან გასწია ამ ქვეყნისთვის სამართლიანობისათვის ბრძოლაში, სადაც უკვე ათეული წლებია, სამოქალაქო ომი მძვინვარებს, რამაც უზარმაზარი მსხვერპლი მოუტანა ადგილობრივ მკვიდრთ. როზალინამ თავად იწვნია ამ დრამის საშინელება, მან დაკარგა მამა და მეუღლე. 1988 წელს როზალინამ დააარსა გვატემალას ქვრივთა ნაციონალური ასოციაცია (კონავიგუა), რომელიც ერთ-ერთ ძლიერ ორგანიზაციად იქცა ქვეყანაში, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ. პრემია Niwano, რომელიც 1983 წელს შეიქმნა რიშო ხოსეი-კაის ბუდისტური ინსტიტუტის მიერ, ამ წლებში გადაეცა არნსის კარდინალს, ჰელდერ კამარას, რომის წმიდა ეჯიდიოს საკრებულოს და ისრაელის სოფელს Nevé Shalom.

©L'Osservatore Romano

ასი წელი გაზეთ „პრავდა“-ს დაარსებიდან

1912 წლის 5 მაისიდან მოსკოვში იბეჭდება ბოლშევიკური გაზეთი

ცოტა უცნაური ბედი ხვდა წილად გაზეთ „პრავდა-“ს. იგი პირველი მემკვიდრე გახდა რევოლუციური არალეგალური გაზეთისა, სახელწოდებით „ისკრა“, რომელსაც ლენინი უშვებდა, და რასაც წლების მანძილზე თან სდევდა ცარისტული ცენზურა; ზამთრის სასახლის აღებიდან, ბოლშევიკების საბოლოო გამარჯვებიდან სულ რაღაც სამი დღის შემდეგ (1917წ. 10 ნოემბერი), მის გვერდებზე იბეჭდება დეკრეტი ბეჭდვის შესახებ, რომლის მიხედვითაც სასწრაფო დახურვა ემუქრებოდა ოპოზიციაში მყოფ ყველა ბეჭდურ ორგანოს. ბოლშევიკების გაზეთი 1912 წლის 5 მაისს დაარსდა (იულიუსის კალენდრის მიხედვით კი 22 აპრილს), ლენინის სურვილით, იგი რამდენიმე დღეში იქცა ახალი ხელისუფლების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოდ, გაზეთად, რომელიც სულ მალე საბჭოთა რეჟიმის მიმართ მოწიწების, ერთფეროვანი ცხოვრებისა და ყველაფრისადმი ბრმად მორჩილების სიმბოლო გახდა და ასეთად დარჩა საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ მანძილზე.

1982 წელს, ბრეჟნევმა, კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი იუბილეს პომპეზურად აღსანიშნავად, პროპაგანდის მიზნით, მთელ ქვეყანაში, – განსაკუთრებით კი მოსკოვში, – უზარმაზარი პანელები გამოფინა ლენინის გამონათქვამებით; მაგ.: *„გაზეთი არ არის მხოლოდ კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, იგი კოლექტიური ორგანიზატორიც არის“*. ლენინის ამ ფრაზაში მკაფიოდ იკითხებოდა იმდროინდელი ეპოქისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტი. გაზეთი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ბრძოლის პრივილეგირებული იარაღი, რომელიც გაისიგრძეგანებდა საბჭოური ტოტალიტარიზმის უმთავრეს არსს და არ იქნებოდა მხოლოდ ინფორმაციული საშუალება. მცირე მოცულობის გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიათა უმრავლესობას, ფაქტობრივად, შეადგენდა ე.წ. „პროტოკოლის“ მასალები, ანუ სახელმწიფოსა და პარტიის ოფიციალური ცნობები; სწორედ ამის გამო იწვევდა ის მთელი მსოფლიოს სოვეტოლოგების დიდ ინტერესს. ათწლეულების მანძილზე, დასავლეთში, გაზეთ *პრავდას* თითოეული სტრიქონი, ანუ ყველაფერი, რაც მის გვერდებზე იწერებოდა, დეტალურად განიხილებოდა, ანალიზი უკეთდებოდა განსაკუთრებით იმას, რაზეც დუმდნენ და რაშიც ამა თუ იმ სახის შეთქმულებასა და საიდუმლო გადატრიალებას ვარაუდობდნენ. ხელმოწერები, ფოტოსურათები, თვით ნეკროლოგები და სახალხო სამძიმრები, რასაც გაზეთი ბეჭდავდა, განსაკუთრებულ პოლიტიკურ ელფერს იძენდა. მის რედაქციას სტუმრობდნენ ბოლშევიკთა სახელოვანი წარმომადგენლები: ლენინიდან – სტალინამდე, ტროცკიდან – მოლოტოვამდე, სვერდლოვიდან – ბუხარინამდე. ამიტომაც, დაარსების დღიდანვე, „პრავდა“ მიიჩნეოდა საბჭოური რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პროპაგანდისტულ საყვირად და ქვეყნის იდეოლოგიური ტერორიზმის ყველაზე მნიშვნელოვან იარაღად. და ბოლოს, ლენინის მიერ დაფუძნებული ყოველდღიური გაზეთი ერთ-ერთი ძლიერი სიმბოლო იყო იმ მუდმივი სოციალური რეინვენციული პროცესისა, რაც ყველა ტოტალიტარული რეჟიმისთვისაა დამახასიათებელი. ეს იყო სიმბოლო ერთდროულად პარადოქსული და პარადიგმული სახელისა – „პრავდა“, ანუ „სიმართლე“, რაც კიდევ უფრო მრავლისმეტყველად ჟღერს, *სიმართლე*, რომელსაც სახელმწიფო, საკომუნიკაციო საშუალებათა მონოპოლიის გზით, სიცრუის სისტემატური გამოყენებით, აწვდიდა ხალხს. და ეს სიცრუე, წარსული ავტორიტარული რეჟიმებისაგან განსხვავებით, საუბედუროდ, მიმართული იყო არა მტრების, არამედ საკუთარი ხალხის, საკუთარი საზოგადოებისა და საკუთარი კოლექტივისადმი.

(©L'Osservatore Romano 5 maggio 2012)

განუსვენე მათ, უფალო!

მარგალიტა მანველოვი
* 10.08.1919 – უდე
† 27.04.2012 – ვალე

მედეა ახვლედიანი
* 15.03.1936 – ქობულეთი
† 24.03.2012 – ქობულეთი

აგვისტინე ვარდიძე
* 29. 08. 1929 – არალი
† 28.04.2012 – არალი

პეტრე მამასახლისაშვილი
* 6.10.1949 – არალი
† 10. 05.2012 – არალი



აგასი ტონიანი
* 17.01.1939 – ს. ლაიდტიკი (სომხეთი)
† 12.02.1012 – თბილისი

ტატიანა კურსინა
* 01.08.1951 – კრასნოდარის მხარე, ქ.გიაგინსკაია
† 13.04.2012 – კრასნოდარის მხარე, ქ.გიაგინსკაია

თამარა გოზალოვი
* 25.12.1928 – ვალე
† 06.05.2012 – ვალე

სტეფანე აზირაშვილი
* 17. 06. 1927 – უდე
† 8. 05. 2012 – უდე

ანტონინა ოვსეპიანი
* 8.02.1929 – ოზურგეთი
† 20.04.2012 – ოზურგეთი

სილვა გასპარიანი–ბაბაევა
* 5.02.1949 – კიროვაბადი (აზერბაიჯანი)
† 12.03.2012 – თბილისი

ჟუჟუნა კაჭკაჭიშვილი–ტატალაშვილი
* 6.10.1949 – არალი
† 10. 05.2012 – არალი

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
წმიდანთა პორტრეტები..... 10
ქრისტიანული ოჯახი..... 11
წინაპართა ღვაწლი – სტამბოლის სავანე 12
ფიქრები სიქსტეს მადონაზე 14
პოლემიკა 15
საარქივო მასალები..... 16
ინფორმაცია 17
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2012

ივანე გვარამაძე
გარდაცვალებიდან 100 წელი